


№ 32

სოციალისტური

№ 32

რედაქცია და კანტორა

თბილისი, პლენარის პრეს. სასტუმრო
„ნ ა ე“ ოთახი № 102.



რედაქცია და კანტორა

ლიაა ყოველ დღე { დილის 9—1 დღ.
სალამოს 3—5 1/2 დღ.
კვირა-უქმე დღეს 10—3 ს.-დღ.

კოოპერაციის და კერძო ვაჭრობის

საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალურ ამოცანად ამ ემად დასახულია კერძო ვაჭრობის შეზღუდვა, შეზღუდვა, გამობოზ ჩვენ, და არა მისპობა.

ამ ვარუდობებს იმიტომ უსვამთ ჩვენ ხაზს, რომ ზოგიერთებმა ახალი სავაჭრო პოლიტიკის შინაარსი ისე გაიგეს, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება სპობდეს ნებს და ახალ სისტემაზე (რასაკვირველია, სამხედრო კომუნიზმზე) გადადიოდეს. ეს არ არის სწორი. ეს საკითხი, მართალია კომპარტიის მე-13-ე ყრილობაზე აღძრა ზოგიერთმა დელეგატმა (მაგ. ლარინმა), მაგრამ ყრილობამ მტკიცედ და ურყევად უპასუხა:

ჩვენ არ ვსპობთ დღევანდელ პირობებში საცემით კერძო ვაჭრობას. სათანადო პირობებში ჯერ არ დამდგარა.

ახალ ეკონ. პოლიტიკის შემქმნელმა აშხ. ლენინმა ასე დაახასიათა ნების საჭიროება: *всерез и на долго, но не навсегда*, რასაკვირველია, დადგება დრო, როდესაც ნები გაუქმდება, მაგრამ დღეს დღეობით ნები რჩება ძალაში, მაშასადამე ძალაში რჩება კერძო ვაჭრობაც. მხოლოდ კერძო ვაჭრობას ხელისუფლება ეუბნება: შენ ნამეტანი ვაიზარდე, უკან უნდა დაიხიოვო.

და კერძო ვაჭრობის უკან დახევა, მისი შეზღუდვა ხდება არა ადმინისტრატიული ზომების მიღებით, არა დეკრეტით, არამედ სამეურნეო წესით, კონკურენციით, რომელიც უნდა გაიმართოს სახელმწიფო ვაჭრობის, კოოპერაციის ერთის მხრით, — და კერძო ვაჭრობის შორის — მეორე მხრით.

დღეს დღეობით მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კოოპერაციას მთელ ვაჭრობაში აქვს 3/4 პროცენტი, ხოლო კერძო ვაჭრობას — 64 პროცენტი, ანუ 1/4 ვაჭრობისა კოოპერა-

ციის და სახელმწიფოს ხელშია, ხოლო 2/3 კერძო ვაჭრობის ხელში.

საბჭოთა ხელისუფლება ეუბნება კერძო ვაჭრობას, უკან დაიხიე, შენ უნდა გქონდეს ვაჭრობის არა 2/3, — არამედ ნაკლები.

ცხადია საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა იქითკენაა მიმართული, რომ კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის საშუალებით შევიწროვოს, შეზღუდოს კერძო ვაჭრობა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს შეზღუდვა არ უნდა იქნას ისე გაგებული, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება სპობდეს საცემით კერძო ვაჭრობას, როგორც ეს ჩვენ ზევით ავლინდით.

არც ისეთი პოლიტიკა უნდა იქნას წარმოებული, რომ კერძო ვაჭრობაც მოისპოს და კოოპერაციაც თან გადაყვეს. ამ მხრივ საინტერესოა ერთი მაგალითი, რომელიც აშხ. ზინოვიევი მოიყვანა თავის მოხსენებაში ლენინგრადის საქალაქო კონფერენციაზე მე-13-ე ყრილობის შესახებ:

„ერთ ქალაქში, მსხვილ ცენტრში, ამხანაგებს ჩაუდენიათ შემდეგი: როცა ცეკამ გამოიტანა დადგენილება ხელი დავაჭიროთ კერძო კაპიტალსო, იმათ ხელი დაუჭირიათ და ძალიან მაგრადაც „დაუჭერიათ“. მერე რა გამოვიდა აქედან? — ჩვენთან მოდის ერთი მხანაგი და გვეუბნება: „ჩვენ დიდი მიღწევები გვქონდა; ჩვენ კოოპერაციის ფასები დავწიეთ 45 პროცენტით, ამიტომ ჩვენში დაიხურა თითქმის ყველა კერძო ფირმა, მათ რიცხვში უძველესი ფირმებიც, რომელნიც ათეული წლობით ვაჭრობდნენ ომამდისაც — ჩვენ ისინი გავანადგურეთ კოოპერაციის წილად ხედა დიდი გამარჯვება კერძო კაპიტალზე. შემიძვე რა? — აღმოჩნდა, რომ თურმე კერძო ფირმები გაუკოტრებით, მაგრამ კოოპერაციაც გაკოტრებულა, ისინი ლაპარაკობენ ჩვენ ფასები დაუწიეთ 45 პროცენტით და არ შეიძლება ახლა მოვეცეთ დახმარება 3—4 მილიონით“.

ეს მაგალითი მეტათ მნიშვნელოვანია. ის ჩვენ გვიჩვენებს იმას, თუ როგორ ვაიგეს ზოგიერთ „ხოზიასტენიკებმა“ ბრძოლა კერძო ვაჭრობისთან. თუ ამ გზით წავიდა კოოპერაციის სავაჭრო პოლიტიკა, აშკარაა ის დალუპავს კერძო ვაჭრობას, მაგრამ დაილუპავს თავის თავსაც და ამით საქმე არ გაკეთდება.

მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ? —

სახელმწიფომ კოოპერაციას უნდა მიანიჭოს რამოდენიმე უპირატეობანი, უნდა მისცეს კრედიტი, საერთოდ უნდა დაეხმაროს მას კერძო ვაჭრობის შეზღუდვაში და სავაჭრო სიმართლებების დაქვერში. სწორედ ამას გულისხმობს ვაჭრობის დაპყრობა.

რომ ეს დიდი საქმე პირნათლად შეასრულოს კოოპერაციამ, პირველად ყოველისა საჭიროა თვით კოოპერაციის გაჯანსაღება, მისი აპარატისათვის მოქნილი სახის მიცემა, კოოპერაციის ქსელით მოფენა მთელი რესპუბლიკისა და, რაც მთავარია, ყველა, საჭირო საქონლის მიწოდება მომხმარებლისათვის.

ჩვენის აზრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციის აპარატის გარდაქმნას. ისე უნდა მოეწყოს კოოპერატიული აპარატი, რომ მომხმარებელს თავისთავად იზიდავდეს და ის კოოპერატიული სავაჭროდან ნასამოვნები ბრუნდებოდეს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ აპარატში მომუშავეებს. ეს უკანასკნელი თავისი თვისებით და საქმისადმი სიყვარულით ხელს უნდა უწყობდენ კოოპერაციის წინსვლას.

გარდა ამისა საჭიროა მომხმარებელთა მასის ორგანიზაცია, რესპუბლიკაში არ უნდა დარჩეს სოფელი, სადაც კოოპერატივი არ არსებობდა.

დღეს ყველასთვის აშკარაა, რომ იქ, სადაც კოოპერატივი არ არსებობს კერძო ვაჭრობა მადა ყოველგვარ საზღვარს გადაცილებულ

ლია და გლახობას ახრბობს ის. ამიტომ ჩვენი სადღესისო ლოზუნგი უნდა იყოს:

არც ერთი სოფელი უკოოპერატივოდ.

ჩვენ ზევით აღწერილ მომხმარებელთათვის საჭირო საქონლის შერჩევის აუცილებლობა. ეს უსათუოდ უნდა ხდებოდეს. სოფელს რომ თავი დავანებოთ, თვით თვითონში ის საქონელი რომელიც კოოპერატივის, ან სახელმწიფო სავაჭრო მალაზიებს არ აქვთ, სამჯერ-ოთხჯერ უფრო ძვირად იყიდება, ვინემ სინამდვილეში ღირს. ის საგნებიც კი, რომელიც კოოპერატივებში და სახელმწიფო სავაჭრო მალაზიებში მოიპოვება, კერძო მალაზიებში ერთნახევარჯერ, ორჯერ მეტად ფასობს.

ამჟამად რა მდგომარეობა უნდა იყოს სოფლად, სადაც კოოპერატივის ნასახივ არ არის.

ამიტომ კოოპერატივები უნდა ეცადონ, რომ ფართო მომხმარებლისათვის ყველა საჭირო საქონელი მოიმარაგონ. ეს არაა წერილობითი. ამას დიდი, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ამრიგად კოოპერატივი უნდა გაჯანსაღდეს, მან ფართოდ უნდა ვაშალოს თავისი ორგანიზაციები და თავისუფალი შეჯიბრების გზით უნდა დაიპყროს ბაზარი, უნდა შეზღუდოს კერძო ვაჭრობა.

ესაა კოოპერაციის მორიგი და უდიდესი ამოცანა დღეს.



სოფლად გუშაოგისათვის.

ჩვენი სოფლები კულტურულად მეტად ჩამორჩენილია. ისინი გჯერ-კიდევ ბნელაში იმყოფებიან. სოფელმა არ იცის რა ხდება მის ვარშემო, რა ამბებია საერთაშორისო ურთიერთობაში, როგორია საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა და სხვა.

ისეთი დიდი მნიშვნელობის ამბავი, როგორცაა ფულის რეფორმა, სოფელმა მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც მან მიიღო ახალი ფული. წინასწარ მას არ ჰქონდა გათვალისწინებული ის დიდი მუშაობა, რომელიც ამ რეფორმის გარშემო სწარმოებდა.

აქ სიტყვის გაგრძელება არაა საჭირო. ნათელია ის დებულება, რომ ჩვენი სოფელი საჭიროებს კულტურულად გარდაქმნას, მასში უსათუოდ მავრად უნდა შეანათოს როგორც საერთოდ განათლების, ისე პოლიტიკური განათლების სხივებმა.

მით უმეტეს საჭირო და აუცილებელია ეს დღეს, როდესაც ხდება სოფლის მცხოვრებთა დანაწილება კულაკებად, სწავალი გლეხებად და ლატაკებად. ეს დანაწილების პროცესი მტრისმეტად ჩქარა მიმდინარეობს ნების საფუძვლებზე და საჭიროა დიდი მუშაობა, რომ გლეხობის და მუშათა კავშირი განმტკიცდეს, მოგვიარდეს.

არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა სოფლად მუშაობა, როგორც ეს დღეს არის. ახს. „ლენინი თავის უკანასკნელ სიტყვებში არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ შემდეგი წინსვლა სოციალიზმისაკენ შესაძლებელია მხოლოდ სოფლის კულტურული დონის ამაღლების ნიადაგზე. და ეს მართალია.

უკვე ცნობილია ის ფაქტი, რომ რუსეთის რევოლუციისაში გლეხობის როლი განუზომე-

ლია. ამიტომ სულერთი არ არის, თუ როგორ შევგებულები და დარაზნული იქნება ეს გლეხობა.

სოფლად მუშაობა გულისხმობს ორ მომენტს: ერთია საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი და შემოქმედებითი მუშაობა სოფლად საერთოდ სხვა და სხვა ფორტებზე და მეორე, — წმინდა კულტურული მუშაობა.

გლეხი ხელისუფლებას აფასებს იმის მიხედვით, რასაც ის ხედავს. და ეს რაღაცა გლეხს ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა დაანახოს. თუ რამდენად უნარს და ფხას იჩენს ადგილობრივი ხელისუფლება აღმშენებლობითი სფეროში, იმდენად გლეხობის სიმპატია მის მხარეზეა. გლეხი იმას არ დაგიდევს შენ თუ როგორი პრინციპები და პერსპექტივები გამოძრავებს, ან ვინ ზის სთავეში. არა. ეს მას ნაკლებად აინტერესებს. მისთვის გადაშურელ როლს თამაშობს ის, თუ ვინ არის სოფლის, თემის ხელმძღვანელი, როგორია მისი საქმიანობა. ხოლმესაც სოფლად მუშაობის შესახებ დაისმება საკითხი, ეს მომენტი მუდამ უნდა გვახსოვდეს და დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლად მომუშავეების უნარს, ენერჯიას.

დღეს გლეხები ძალიან უმადლიან ხელისუფლებას იმის გამო, რომ მან მოსპო ქურდობა, ყაჩაღობა, გააკეთა გზები, ხიდები, რაც წინა მთავრობების დროს არ გაკეთებულა. გლეხები ამბობენ: თურმე ქურდი მთავრობა ყოფილაო ახლა მთავრობამ მიიღო ზომები და ქურდობაც მოისპოვო. რაც შეეხება გზების, ხიდების გაკეთებას, აქ საინტერესოა ერთი მოვლენა: ჩვენი ქურნალის წინა ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სოფელ მუხრანთან, სადაც აღნიშნული იყო ერთი გლეხის ნათქვამი: ჩვენ ჩვენით ვერ გავალთ გზის გასაკეთებლად, მაგრამ თუ გავკვივანთ, მაშინ გზასაც გავაკეთებთ და მადლიერნიც დავრჩებითო.

აქედან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ჩვენს გლეხობას თვით მოქმედება აკლია. სოფლად მომუშავეები უნდა ეცადონ, რომ გლეხებში თვითმოქმედება განავითარონ და მას „გაკეთებინონ“ საქმე.

ამ ზაფხულის მიწურულში გლეხობა თავისუფლდება თავის სამუშაოებისაგან და ეს დრო ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს აღმშენებლობითი მუშაობისათვის. აქ პირველ რიგში უნდა დაისვას გზების შეკეთება და გაყვანა. ყველასათვის უნდაა, რომ სოფლის წინსვლა დამოკიდებულია მისვლა-მისვლის საქმის გაუმჯობესებისაგან.

სადაც გზები არ ვარგა, იქ გლეხობზე ყოველმხრივ ჩამორჩენილია. მისი ნაწარმოები ვასავალს არ პოულობს. ის დაქვეითებულია. უგზოობა მას აშორებს ცენტრებს. არ კმარა მართებ ცენტრებთან შემაერთებელი გზების შეკეთება-გაყვანა, საჭიროა თითოეული სოფელი, თითოეული კუთხე დაუპავეზირდეს ერთმანეთს კარგი გზით. მაშინ ადვილად შეანათებს სოფელში განათლების სხივები.

ამ ზაფხულის თავისუფალი დრო უნდა გამოყენებულ იქნას, აგრეთვე სკოლების შენობების შესაკეთებლად და ახალის ასაშენებლად, რომ ენკენისთვიდან პირდაპირ დაუბრკოლებლივ დაიწყოს სწავლება. გარდა აღმშენებლობითი მუშაობისა საჭიროა წმინდა კულტურული მუშაობის წარმოებაც.

სოფლის კულტურულ ცენტრად აღიარებულა ქობ-სამკითხველო. დღეს მთელი რესპუბლიკა მოფენილია ქობ-სამკითხველოებით. სადაც არ არსებობს ის, დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას.

ქობ სამკითხველო უნდა გახდეს სოფელში კულტურის კერად. ის უნდა იყოს ბაზა მთელი მუშაობისა. ქობ-სამკითხველოს გამგე უსათუოდ უნდა იყოს მომზადებული და საბჭოთა ხელისუფლებასთან მეგობრულად განწყობილი პირი.

ქობ-სამკითხველოში ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კარად გაზეთების და წიგნების ხმა მალა კითხვისა და ახსნა-განმარტებისა გლეხებისათვის საჭირო ცნობების მიცემას. კომუნისტური პარტიის მე-13-ე ყრილობამ ქობ-სამკითხველოს მუშაობა ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულით:

ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მუშაობათ ქობ-სამკითხველოში უნდა იყოს ცნობების მიცემის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) მუშაობა, ამ მიზნით მოწყობილი უნდა იქნეს ცნობების მიმწოდებელი მაგიდა. მუშაობა უნდა დაეყრდნოს ქობ-სამკითხველოს ბიბლიოთეკის მტკიცეთ ჩამოყალიბებულ ნაწილს, წრეების მუშაობას, რომელთაც უნდა ჰქონდეთ დაწვრილებით დამუშავებული პროგრამა წერაქითხვის უკიდურესობის სალიკვიდაცო პუნქტის და მოზრდილთა ყოველგვარ სკოლების, რომლებიც შეესებოდა უნდა იყვენ მოკლე ვადიანი პრაქტიკული კურსებით.

გაზეთის წაკითხვა, სოფლის კორესპონდენტის მუშაობა, რომელიც ასწავლის გლეხებს მათ გარეშემო მომხდარ ამბების შეფასებას და რომელსაც ერთგვარი სიცხოველი შეაქვს სოფლის ცხოვრებაში, — ასეთია ქობ-სამკითხველოს ძირითადი მუშაობა. ქობ-სამკითხველოებმა თავისი მუშაობა უნდა შეაყონ ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით და მეზობელ სოფლებისათვის წიგნების და გაზეთების მიწოდებით.


გარდა ამისა სოფლად ხშირად უნდა მოეწყოს უქმე დღეებში ლექცია-საუბრები სასოფლო-სამეურნეო თემებზე, აგრეთვე სხვა და სხვა ავთამყოფობაზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე და სხვა. ასეთი სახის მუშაობის საწარმოებლად ძალიან კარგი პოზიერია ნიადაგია აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში, სადაც კვირა — უქმე დღეებში გლეხები ერთად იყრიან თავს სოფლის ცენტრში, (იქ სახლები ახლო-ახლოა და თავის მოყრაც ვადიანობა). დასავლეთ საქართველოშიც ადვილი მოსახერხებელია ასეთი მუშაობის წარმოება.

ისმება კითხვა: ვინ უნდა იყოს სოფლად კულტურული მუშაობის ხელმძღვანელი? — რასაკვირველია, სახალხო მასწავლებელი უმთავრესად. დღეს მასწავლებლობა თავის დიდ უმრავლესობაში ლილიურადაა განწყობილი სამქოთა ხელისუფლებასთან და მან უნდა აწარმოოს დიდი კულტურული მუშაობა, რომ გაამაგროს, განამტკიცოს ეს ხელისუფლება მართალია, დღეს სახალხო მასწავლებლის მატერიალური მდგომარეობა მეტად ცუდია, მაგრამ სექტემბრიდან ეს მდგომარეობა საგრძობლად იქნება გაუმჯობესებული და წელში გამართულმა მასწავლებელმა თავისი ძალღონე არ უნდა დაზოგოს ხალხის გათვითცნობიერებისათვის. ეს არის მისი ზნეობრივი მოვალეობა. ცუდია

ის მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ სკოლის კედლებში მუშაობით კმაყოფილდება და არავითარ საზოგადოებრივ მუშაობას არ ეწევა.

ამ რიგად, უნდა გაძლიერდეს სოფლად მუშაობა და საესეებით გამოყენებულ იქნას ამ აღმშენებლობით და კულტურულ მუშაობაში საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალურად განწყობილი ინტელიგენცია.

გ. ვ—იანი.



ინტერნაციონალი ლაჰოგის და ინტერნაციონალი მოკაბ-ლეის.

დასრულდა მეორე ინტერნაციონალის კონგრესი. დაიწყო მუშაობა მესამე ინტერნაციონალის კონგრესმა. ევროპის ნერგების საშინაო დაჰიმვის დღეებში თქვა თავისი სიტყვა მეორე ინტერნაციონალმა, იტყვის თავისას მესამე. ერთხელ კიდევ დაამტკიცა მეორე ინტერნაციონალმა თავისი „რევოლუციონერობა“, ერთხელ კიდევ დაამტკიცეს მესამე ინტერნაციონალი თავისი რევოლუციონერობას.

რა უთხრა მეორე ინტერნაციონალმა პროლეტარიატს, როგორ შეაფასა მან ძალთა განწყობილება, როგორ მოექცა ის კაპიტალისტურ სამყაროს? ავიღოთ თუნდაც რევოლუცია 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. კაპიტალისტებსო, ამბობს მეორე ინტერნაციონალი, სურთ სამუშაო დღის გადიდება და საჰიროა ყველას, მთელს ქვეყანას, ვუთხრათო, ინფორმაცია გავუკეთოთო, რომ კაპიტალისტებს სურთ გააგრძელონ სამუშაო დღეო... რა არის ეს? აშკარა დღეა თუ სისულელე? თუ ორივე ერთად? და ეს მაშინ, როცა ბურჟუაზიის გააფთრებული იერიში მიექვს 8 საათის სამუშაო დღეზე, განსაკუთრებით რურში! სწორეთ, რომ საცდელი იქნებოდა მეორე ინტერნაციონალი, სასაცილო რომ არ იყოს.

მეორე ინტერნაციონალმა მიიღო და დალოცა ბურჟუაზიული ექსპერტების სქემა სარეპარაციო საქმეთა მოგვარების შესახებ. ეს სქემა საშინელებაა გერმანიის პროლეტარიატისათვის. მუშებს და მხოლოდ მუშებს აწევება კისერზე სამომავლო ვალეები ზედმეტი ღირებულების სახით და მეორე ინტერნაციონალი კი არას ამბობს საკითხის ამ მხარეზე, რატომ? ცხადია, ქალბატონ ბურჟუაზიის გაჯავრება არ უნდა... არის სხვა ახსნა? შეიძლება სხვანაირათ დაფასდეს ეს რევოლუცია? არა, არ შეიძლება, მხოლოდ ერთი შეიძლება ვიფიქროთ: მეორე ინტერნაციონალი არ გრძნობს იმდენს ძალასა და სიმტკიცეს, არა ხედავს დროს მომზადებულათ, რომ აქტიურათ ჩაერთოს სარეპარაციო საკითხებში, ე. ი. მოახდინოს ცვლილება ევროპის ეკონომიკაში. აქ არის კიდევ გამართლება, რალაც არის მისაღები და ლოგიკური. თუ ძალა არა გაქვს და იცე, მაშინ არ უნდა გამოხვიდე საომრათ, მაგრამ მეორე ინტერნაციონალი არის სოციალისტური ინტერნაციონალი, არის ევროპის მუშათა კლასის შტაბი, მის დროშის ქვეშ დგას გერმანიის სოციალ-დემოკრატია, და ვლადი-ბული იყო შეიდეგანის ინტერნაციონალი ეთ-

მ ე ა მ ზ ო ს ე

შენ თუ გინდა ჩემი ლექსი გაიგო და შეგეყვარდეს, ნულარ ეძებ მის სიღრმეში ენების ზღვას და კოცნის ვარდებს. მეღნათ სისხლი მიხმარია და რითმებათ ძელები ძმათა, ახალ ქვეყნის ყოფნისათვის გოლგოთად რომ აღიმართა... ძველს ტაძარში ხატებს ვამხსერე და ნიღაბს ვხდი ღმერთთა ტყუილს, ნგრევის ხმებში ყოფნას ვხედავ და შეეხარი მძლავრთა ხუილს. მიყვარს ქუჩა მფამბოხე და მშვიერი ქუჩის ქალი, მათ ვეძახი ძველს ქვეყანას ამოუწვიან ბოზი თვალი. და როდესაც ჩემზე მესმის; უგულოა, უღმობელი, — ვეკითხები: ვის ვუყვარდი? გამიწოდა ვინმემ ხელი? მკერდში გული რომ მიმოკლეს და მომაკლეს თანავარდობას, დღეს ვინ ბედავს ან ვინ ეძებს ამ ცივს გულში თბილსა გრძობას?! შენ თუ გინდა ჩემი ლექსი გაიგო და ჩასწვდე მისა, უძილო და დაქანტული ჩემთან აყვე ქარხნის ხმასა... მანქანებათ გადაქცეულთ დაგვაკვირდი! მაშინ ნახავ ძველის ქვეყნის ჩამოხრჩობას რატომ ვეტრფი, რათ ვისახავ...

ლიდიანი

ქვა თავისი მუშური სიტყვა მუშებისთვის. ვალდებული იყო ეთქვა: ბრძოლა არ შემიძლია, მაგრამ ექსპერტების გეგმა ყაჩაღობაა, დამლუფველია გერმანიის პროლეტარიატისთვის. არ სთქვა, არ უნდოდა და მართალი იყო ის დემუტატი კომუნისტი, რომელიც წამოიძახა რეისტრავში სოციალ-დემოკრატ ლეგებს მისამართით: სოციალ დემოკრატის არა აქვს უფლება ატაროს მუშური პარტიის სახელიო. დიხხ, არა აქვს ეს უფლება. ეს არის სამარცხეინო საქციელი, ეს არის დამარცხება და სიკვდილი მისი.

და მაშინ, როცა ლეშის სუნი ასდის მეორე ინტერნაციონალს, როცა მას სურს ითამაშოს პუშკინის რკინის კომანდორის როლი, როცა მან გადაუდგო მარქსის სამშობლოს პროლეტარიატი სახრავათ და გასაუქმებლათ ანტანტის იმპერიალიზმს, მოსკოვში იკრიბება მესამე ინტერნაციონალი. საგულისხმოა ის, რომ ორივე ინტერნაციონალთა კონგრესი შესდგა თითქმის ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე საჰირობოროტო საკითხებზე უნდა უთხრან სიტყვა პროლეტარიატს. ჯერ არ არის დამთავრებული მესამე ინტერნაციონალის კონგრესი, მაგრამ ის სული, რომელიც მასში ტრიალებს 17 იენისიდანე, ისიც, რაც ჯერ ხდება კონგრესზე, თავდება იმისა, რომ აქ მიიღებს ღირსეულ დაფასებას საერთაშორისო მდგომარეობა, ექსპერტთა გეგმა და ყოველივე ის, რაც დღეს აფიქრებს და აწუხებს, სტანჯავს და აბორგებს საერთაშორისო მუშათა კლასს.

უბრველესათ ყოველისა მესამე ინტერნაციონალის უპირატესობა იმაშია, რომ ის არ არის მარტო „კულტურული“ ევროპის ინტერნაციონალი. აქ შეხედებით ზანგს, იაპონელს, ინდოელს. აქ ნაციონალურ სექციებში კეთდება არა ნაციონალური ბურჟუაზიის საქმენი საგმირონი, არამედ ინტერნაციონალური პროლეტარიატის საქმეები. აქ ფრანგი და გერმანელი თანაბრათ ებრძვიან ვერსალის ზავს და ექსპერტთა გეგმას, აქ ინგლისელი და ინდოელი ერთნაირათ ხედებიან ინგლისის იმპერიალიზმს და ეომებიან მას, აქ არ სწავთ „სამშობლო“ „საკუთარი“ ბურჟუაზიის.

ძალებიც უფრო გაიზარდა მესამე ინტერნაციონალში. საგულისხმოა ფრანგი დემუტატის მერანის განცხადება. მე-IV-ზე კონგრესზე, წელიწად ნახევრის წინ, მკირე ჯგუფი და ყველა „პუშანტეს“, მესამე ინტერნაციონალის ფრანგულ სექციას, ახლა ის წარმოადგენს საგრძნობ ძალას, მან მიიღო ერთი მილიონი ხმა მისის არჩენებზე. ის გაბედულად გამოდის პუანკარეს ყაჩაღური პოლიტიკის წინააღმდეგ. რურის ოკუპაციის დროს მხოლოდ მან გაილაშქრა სასტიკათ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. უკეთესია მდგომარეობა გერმანიეში. მიუხედავთ საშინელი რეპრესიებისა აქაც მისის არჩენებზე ოთხმა მილიონმა მუშამ მისცა ხმა მესამე ინტერნაციონალის ლოზუნგებს. საერთოდ მთელს ევროპაში ხდება გადახრა მარცხნივ. იტალიის ფაშიზმი შერცხვა, ის საშინელს აღმუთოებას იწვევს მთელს ქვეყანაში საფრანგეთში „მემარცხენე ბლოკი“, ინგლისში მაქლონალი, ყველა ეს ფაქტები ამბობენ, რომ რალაც ვარდატეხის წინაშე ვდგევართ. ჩვენ გვგონია, ევროპის ბურჟუაზიული პოლიტიკა დაინძრა იმ ჩიხიდან გამოსასვლელათ, სადაც ის მოამწყვედია ვერსალის ზავმა; რასაკვირველია ის ვერ დააღწევს თავს ამ ჩიხს, მაგრამ განძრევა მოხდა, ახალი სიომ დაჰკრა და ამ ამიტომ არის საგულისხმო დღეს მესამე ინტერნაციონალის კონგრესი. მართალია, საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობა არ იძლევა ალორძინების იმედს, მსოფლიო წარმოება ჯერ კიდევ არ მისულა 1914 წლის დონემდე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ევრც მივა. ვერ მივა იმიტომ, რომ ძველი მეთოდი, ძველი წესი წარმოებია უკვე აღარ ვარგა. ინიციატივა, კერძო გაქანება, კერძო ნება მოკვდა ისტორიულათ, ვერ გამოიჩინა მან სასიცოცხლო ძალები, უნარი. მართალია, არ ჩაუბარებია მას პოპუციები კოლექტივიზმისთვის, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ხსნა ამ უკანასკნელშია. ევროპის „გამემარცხენება“ არის კაპიტალისტური სხეულში ზანგის შეშაპუნება, ხელოვნური ცდა კაპიტალის სახსნელათ. უფუშევართა რიცხვი ინგლისში, ამერიკაში, ევრომანეთში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში პოლო-

ნეთში უცვლელად დგას უკანასკნელ ხანებში ერთ დონეზე 5 მილიონი. კაპიტალი უკვე ვერ ქმნის ახალ ღირებულებათ, მის თუ ეტყობა კიდევ დაგროვების ტენდენცია ეს იმიტომ, რომ ის ახდენს საშვალად და წვრილ ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ექსპროპრიაციას. შარშან ამერიკას დაეტყო აღორძინება, ამ წელს იქ დაიწყო დეპრესია. ყველა ეს თავდებია იმისა, რომ კლასთა ბრძოლა შედის განვითარების ახალ ხანაში. აი ამიტომ არის საგულისხმო მესამე ინტერნაციონალის კონგრესი. ის იტყვის, რომ ხსნა არის არა ექსპერტთა გვეგში, არა ლამაზ პროექტებში, არა მეორე ინტერნაციონალის ლაებობაში, ფორმულების გათამაშებაში, ეკვილ ბრისტეკაში, არამედ ძველი ეკონომიკის ძირ-ბუღიანათ შერყევაში, ძველი წესის დანგრევაში, ის იტყვის, რომ ხსნა არის მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციაში.

მესამე ინტერნაციონალის დიდი ისტორიული დამსახურება იმისა, რომ ის არის პრაქტიკული ინტერნაციონალი. მეორე ინტერნაციონალი არის სალაპარაკო ლაბორატორია, მოქმედება მის ჭირით ეფუძნება. მესამე ინტერნაციონალმა ახლა უნდა გამოიშუშავოს პროგრამა. აქ არის ძირითადი განსხვავება ამ ორთა შორის. ასა ლამაზ სიტყვას ყოველთვის სჯობია ერთი პატარა საქმე. პირველი ახასიათებს მეორე ინტერნაციონალს, მეორე მესამეს. თუმცა, უნდა ვთქვათ, ლამაზი სიტყვებიც რევოლუციონური სიტყვებიც არა აქვს დღეს მუშებისათვის მეორე ინტერნაციონალს.

მეორე ინტერნაციონალი უდგება ცხოვრება განსაზღვრული რეცეპტით, ასე და ასე უნდა იყოსო. სინამდვილე კი ვერ ითმენს ამას. გამოდის ჩხოვისებური ჭირურგია, ხოლო ასეთი დოსტაქრობისაგან სტკივა პროლეტარიატს, არა კაპიტალს. არავითარი რეცეპტი არა აქვს მე 3 ინტერნაციონალს, გარდა ერთისა: მოქმედება, მოქმედება და მოქმედება, სადაც შეიძლება, ქუჩა და ბარაკადა, ცდა და ბრძოლა. ვინაჲს უნახავს რუსეთის მუშები სამოქალაქო ომში ის დამერწმუნება, რომ ეს სიტყვები ზედ გამოჭრილია მათზე. მართლაც მიდიოდენ მოხალისეებათ ფეხებით სისხლში და ცრემლებით თვალეებში. მათ შექმენს არმია სულ არაფერი. დან, იმარჯვებდენ მტრებზე უფიცროთ, უიარალოთ. ხშირათ ძალიან ხშირათ იყო გამცემლობა, ლალტი იმათთან, ვინც მიდიოდა მათთან მოქარგული ერთ და მოშამაული გულით, ასეთი იყო გრიგორიევიჩი 1918 წელს. ასეთ დროს გამარჯვება შეიძლება მხოლოდ თავის განწირვით. და ეს თავის განწირვა ახასიათებს მესამე ინტერნაციონალს, უდიდესი რევოლუციები არასოდეს არ გადაწყვეტილან სიტყვებით, უდიდესი რევოლუციები მუდამ წყდებოდენ სისხლით და მახვილით. ამისი უარყოფა ახასიათებს მეორე ინტერნაციონალს, ამისი დადასტურება და პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარება ახასიათებს მესამე ინტერნაციონალს. ამ მხრით, მოქმედების მხრივ არის დიდი განსხვავება. მაშასადამე, რით აიხსნება ეს განსხვავება?

პირველი ინტერნაციონალი, მარქსისა და ენგელსის ინტერნაციონალი იყო ცენტრალისტური პინციპებზე აგებული; გენერალური საბ-

ჭო იყო დიდი უფლებებით აღჭურვილი. მაკუნინის ალიანსმა მხოლოდ დეზორგანიზაცია შეიტანა მის მუშაობაში, როდესაც ის მოითხოვდა ნაციონალური სექციების ავტონომიას. მეორე ინტერნაციონალიც დღეს ამ ალიანსის გზით მიდის. ყოველი ნაციონალური სექცია მეორე ინტერნაციონალისა დამოუკიდებელი შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობს. არ არის რკინის ნება და ხელი ერთი ცენტრისა. ეს არის უარყოფა მარქსის მეთოდისა ორგანიზაციულ საკითხებში. მესამე ინტერნაციონალში ყოველი ნაციონალური სექცია გრძნობს თავისი მოქმედების საზღვარს, გრძნობს პასუხისმგებლობას ცენტრის წინაშე, აქ არის ერთი ნება, რკინის ნება და ხშირათ უპულო ხელი. საჭიროა ეს, საჭიროა ეს რევოლუციისათვის. ამიტომ მესამე ინტერნაციონალი მეშვიდრეა პირველისა. ეს არის აღდგენა და დაცვა მარქსის მეთოდის ორგანიზაციულ საკითხებში. ასეცდება ამ გზას მე.ამე ინტერნაციონალი— წაიქცევა მაშინვე. მაგარია ის ჯობით ხელში, სუსტი იქნება ის უჯობით. მისი ძალა მისი რკინის დისციპლინაშია, ხშირათ ჯობის დისციპლინაში.

არის კიდევ ერთი განსხვავება. პირველი შეხედეთ უნდაური და უმნიშვნელო, მაგრამ ფრიალ შესანიშნავი თუნდაც იმითი, რომ ამ განსხვავებას აქვს ადვილი. მაგალითად, მეორე ინტერნაციონალში შედიან რუსეთის ესერები. ე. ი. იდეალისტურათ მოაზროვნე ხალხი. იდეოლოგიურათ ეს ხალხი მარქსიზმის მტერია, ჩვენი მეცნიერული სოციალიზმის შეურიგებელი მტერია. ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, არსებობის პირველ დღიდანვე დავიწყებ მასთან შეურთებელი ომი, დღემდე გრძელდება ეს ომი. როგორ თავსდება ერთ აკვანში ეს ორი ქვეყანა, ეს ორი შეუთვისებელი მსოფლმხედველობა? რამ აქორწინა ასე მჭიდროთ მარქსისტული ვატი და იდეალისტური ქალი? ალბათ, სიხარების სიდიდემოლებით თუ აიხსნება ეს! სახარებაც ხომ ამბობს ქორწინებაზე: ეს იდუმლობაა და ამიტომ გაუგებარო, და თუ გაუგებარია ღმერთმა დააწესა... როგორ გინდათ ამის შექმდე მოქმედი იყოს მეორე ინტერნაციონალი, როდესაც მისი ბანაკში იდეალისტურათ მოაზროვნე ხალხია? ჩვენ არას ვიტყვით ინგლისის ტრედ-უნინებზე, იქ ხომ სოციალისტური, ჰაი, ჰაი, რომ ცოტაა...

ამ რიგად, ერთ და იმავე დროს შეკრებილ ინტერნაციონალებმა, გამოაშკარავეს თავიანთი რევოლუციონური ღირებულება. ერთმა სთქვა თავისი სიტყვა და დაშორდა რევოლუციას, მეორეს არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა—კონგრესი არ დამთავრებულა—მაგრამ ყოველი დღე მისი არსებობისა მოქმედება, პრაქტიკაა. ამიტომ არის, რომ მეორე ებატება მესამე ინტერნაციონალს, ის მოქმედებს, ხოლო შეცდომებს მოქმედება იწვევს, მაგრამ თვით მოქმედებაში, საქმიანობაში გამოსწორდებიან შეცდომები, კაუდება ნება და იქედება ახალი ქვეყანა. აქ, მესამე ინტერნაციონალში ტრიალებს გმირული სული პარიზელ კომუნართა, იქ მეორე ინტერნაციონალში რბილტანოვანი მეშინური ლარობაა, არ არის იქნება და რევოლუციონური ნების ყოფა. აქ სუნთქავს ბარაკადა, იქ იღრბება თეთრი საყვლო-

იანი ბუღუარი. აქ ზღავაობს რევოლუციონური სისხლი, იქ ლოკოპობს მეშინური წყლიანი სისხლი მხდალ და უსიცოცხლო ორგანიზმში. იქ სძინავთ უსიზმროთ, აქ კი ყოველი დღე სკიმაგს ნერვებს, აფოლადებს ნებას, ქმნის ენერგიას ბრძოლისა და გამარჯვებისათვის.

იქ მღერიან ინტერნაციონალს, აქ ცხოვრებაში ტარდება ინტერნაციონალის იდეები.

და გამარჯვება ეკუთვნის იმას, ვინც იბრძვის და ვისაც ამ ბრძოლაში დაუსახავს ან სიკვდილი ან გამარჯვება, ხოლო უკან დასაბრუნებელი გზები გადართობავს: ან წინ, ან სიკვდილი ბარაკატებზე.

ასეთი იქნება საბოლოო სიტყვა მესამე ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესისა.

ზარელი



ის უსაბუთო პერ დარჩება უსაბუთო რადეკოში.

თითო მახინჯი ყველა ოჯახშია. რასაკვირველია ასეთი მახინჯები აღმოჩნდენ ყოველ მენშევიკების რიგებშიც.

17 ათასი ყოფილი მენშევიკიდან აღმოჩნდა რამდენიმე პირი, რომელიც თურღი ისევ განაგრძობენ მუშაობას ძველ გზაზე.

რამდენიმე პირი 17 ათასი კაციდან, რასაკვირველია, მეტათ უმნიშვნელო პროცენტია, მაგრამ ეს მაინც სამწუხაროა.

სამწუხაროა იმიტომ, რომ ამას უღის მეტად ცუდი სუნი.

როცა კაცი ერთს ამბობს, მეორეს აკეთებს ამაზე უარესი არაფერია.

რევოლუციონერს სჩვევია პირდაპირობა.

სიტყვა ნაღდი უნდა იყოს.

ის კი, ვინც თალითობს, დღეს ერთს ამბობს, ხვალ მეორეს აკეთებს—პროვოკატორია.

ჩვენ სხვა სახელი ვერ გამოვიგინახავს იმათთვის, ვინც ლალატობს თავის სიტყვას.

ყოფილი მენშევიკი, რომელიც გუშინ ჩვენ გვიმტკიცებდა თქვენთან ვარ,—თუ დღეს ისევ „ტყისკენ“ იტყირება და თავის სიტყვას ლალატობს—პროვოკატორია, გამყიდველია.

არავინ არავის არ აძალდება მოსულიყო ჩვენთან.

და თუ მოვა, უნდა დარჩეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გამყემიდა.

პროვოკატორთან კი განსაზღვრული დამოკიდებულება გვაქვს.

ფოთში, გურიში, ბათომში ყოფილ მენშევიკთა მიტინგზე ამხანაგები მოითხოვდენ, რომ იმათ, ვინც თითქო მოვიდა ჩვენთან, მაგრამ ისევ განაგრძობენ არალეგარულ ცეკის აგენტობას, მოეპყრათ ისე, როგორც პროვოკატორებს.

სამართლიანი ახრია.

როცა ამ რამდენიმე თვის წინეთ ს. დევიდარიანი გვეკამათებოდა და გვეუბნებოდა, რას იტყვით თუ ყოფილ მენშევიკებიდან რამდენიმე ისევ ძველ გზაზე მუშაობსო, ჩვენ მას გვევით შესაფერი პასუხი:

— თუ არიან ასეთი პირები ისინი არავისთვის არ ვარგან-თქო. ჩვენ სრულებით არ გვეპარებოდა ეჭვი, რომ იქ, სადაც 17 ათასი

კაცია, თითო-ორილა პროვოკატორი აუცილებლად უნდა ყოფილიყო.

როცა ნ. ჟორდანიას თავის წერილს აბოლოებს მოწოდებით—დაბრუნდით, სანამ გვიან არ არისო, იმასაც ასეთ პასუხს ვაძლევთ:

— ვაი იმ პარტიას, ვინც ამყარებს იმედებს ისეთ აპრებზე, რომლებიც დღეს ერთს ამბობენ და ხვალ შეორეს.

თფილისში, გურიაში, ფოთში, ბათომში ყოფილ მენშევიკებმა გარკვეული პასუხი მისცეს ნ. ჟორდანიას.

მათ უთხრეს:

— თქვენ სცდებით, თუ გგონიათ, რომ ჩვენ ვთამაშობთო. ჩვენ შეგნებულად დავტოვეთ მენშევიკური პარტია და მტკიცედ დავდგით კომინტერნის დროშის ქვეშო.

ნ. ჟორდანიას შეუძლია გადებირობის მხოლოდ რამდენიმე პროვოკატორი.

მაგრამ რა საბრალოას პარტია, რომელიც ასეთ პირებზე ეყარება!

25—30 აგვისტოს მიღებული პლატფორმა, ეს რეალური მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში და ტყუილა გონია ნ. ჟორდანიას მოქარით ჩამოაშორებს ვინმეს ამ პლატფორმიდან.

ნ. ჟორდანია თურმე ცუდათ იცნობს მის ყოველ მოწაფეებს.

ჩვენ რევოლუციონერები ვართ.

როცა ამა თუ იმ ნაბიჯს ვდგამთ, ამას გვგრებით სრული რევოლუციონური შეგნებით.

და არავითარ მუქარას არ შეუძლია ჩვენი შერყევა.

პროვოკატორები ყველა პარტიებში იყვნენ. მაგრამ, საბედნიეროთ, ისინი ყოველთვის მეტათ უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდნენ და მათ არ ქონდათ საშუალება დაეგრავით პარტია.

ორი ასეთი პირი აღმოჩენილა 17 ათას ყოფილ მენშევიკებშიც.

მათი საკვიცილო აღშფოთებული იყვნენ ამხანაგები ფოთში, გურიაში, ბათომში.

მიტირებდნენ მეუბნებოდნენ:

— გამოიძიეთ კარგათ მათი საქმე და თუ მართლა ისინი გვატყუილებდნენ, მოეპყარით როგორც პროვოკატორებსო.

სწორი შეხედულებაა.


პროვოკატორებს შესაფერი სასჯელი ესაქიროებათ.

და ამ სასჯელს ისინი მიიღებენ.

ყოფილ მენშევიკებს კი ევალებათ ფრთხილად იყვნენ და თავიანთ რიგებში არ გააჰქანონ ასეთი პროვოკატორები.

შორს ჩვენგან პოლიტიკური შანტაჟისტები და პროვოკატორები!

ა. რ.



ქიმიური მკი.

წარსულ იმპერიალისტურ ომის დროს გერმანია, ყოველ მხრივ შემორტყმული მოწინააღმდეგეთა რკინის რკალით, გატაცებული ქვეყნიერების დამორჩილების იდეით, არასფერს არ ჰხოვავდა ამ მიზნის განსახორციელებლად. ხელმძღვანელობდა რა გაბატონებული საერთო სამხედრო ქეშმარიტებით, „რომ მოწინააღმდეგის გაოცება-გაყვირება—საკუთარ გამარ-

ჯგვების საწინდარია“ ომის ვითარებაში ანტანტის მრავალი სიურპრიზი შესთავაზა— ომში ახალ-ახალ საბრძოლო საშუალებათა მოხმარებით. მხოლოდ არც ერთ მათგანს არ გამოუყვევია ისეთი აღშფოთება და დტრეინვა, როგორც შხამიანი აირების (გაზების) ომში შემოღებამ. სრულიად შემცდარი აზრია, ვითომ გერმანიამ პირველმა იხმარა შხამიანი აირები კაცობრიობის ისტორიის სარბიელში. ქიმიურ საშუალებით ბრძოლის დასაწყისი ხანა ეკუთვნის არა 1915 წლის აპრილს, როდესაც გერმანიელმა პირველად მდ. იპრთან იხმარეს იგი მოწინააღმდეგის შესამუსხავად, არამედ უფრო ძველის ძველ ხანას.

431—440 წ.წ. ქრისტეს დაბადებამდე ჯერ კიდევ სპარტანელებს ათინელების დასამარცხებლად უსარგებლიათ ქიმიურ საშუალებით. სპარტანელები ჰელენთაგდენ შეშას ფისითა და გოგირდით ქალაქებ პლატეუმისა და ბელიუმის აღყის დროს მცხოვრებთა გამოსახრჩობლად და გამარჯვების სწრაფი დამთავრებისათვის.

შხამიან აირების ამგვარივე მოხმარება აღნიშნულია საშუალო საუკუნოების ისტორიაში. მათი მოქმედება წააგავს თანამედროვე მხუთარი ყუმბარების თვისებებს. მოწინააღმდეგებს ესროდენ შხამიან აირებით დაჭერითულ ბოთლებს ან ტუმბოებს მეთერთმეტე საუკუნეში პეტერჯონს მიაწერენ, ვითომ იგი სპილენძის ფიგურებს ასესებდა აფეთქებადი და სწვავ ნივთიერებით, რომლის კვამლი მუსრს ადენდა მტრის რიგებსო.

ასეთ ცნობებს მოუღწევია ჩვენამდე ქიმიურ საშუალებების მოხმარების შესახებ ძველ და საშუალო საუკუნოებში.

ახალ ისტორიაში მეცხრამეტე საუკუნეში ინგლისელ ამირბარ ლორდ დენდოლანდს დაეხდა შხამიან აირების ომში მოხმარების აზრი. ყირიმის ომის დროს მან წარადგინა ინგლისის მაშინდელი მთავრობის პრემიერს—გოჯირდის ორთქლის საშუალებით სევასტოპოლის დაპყრობის შესახებ პროექტი. დენდოლანდის პროექტით რუსების სევასტოპოლიდან გასარეკად საქირო იყო 400 ან 500 ტონა გოგირდი და 2000 ტონა ქვანახშირი. ამ მასალის გარდა საქირო იყო ფისიანი ქვანახშირი ან სხვა ფისი—კვამლის ფარდის მოსაწყობად სიმაგრების წინ, რომელზედაც იერიში უნდა მიეტანათ, ან რომელიც საიერიშო პოზიციის ფრთაზე გადიოდა, ამასთანავე დამზადებული უნდა ყოფილიყო ხმელი შეშა, ნაფოტი, ბურბუშელა, ჩალა, თივა და სხვა ადვილად ასანთები მასალა, რათა პირველ ხელსაყრელ პირობებში, ექნებოდათ მხედველობაში რა მალახოვის ყორღანზე და რედანზედ იერიშის მიტანა, ქვის სატეხიდან დანთებული ქვანახშირისა და ფისის კვამლით—რედანის შებოღება, რათა მას უკვე სროლა აღარ შესძლებოდა მის მოპირდაპირე მიზნისთვის. ეს მიზანი იყო „მამელონი“, საიდანაც საქირო იყო გოგირდის აირით იერიშის დაწყება—მალახოვის ყორღანიდან გარნიზონის გასაყველად. „მამელონის“ ყველა ზარბაზანი უნდა მიმართული ყოფილიყო მალახოვის ყორღანის დაუცველ პოზიციის საწინააღმდეგოდ. დენდოლანდი დარწმუნებული იყო, რომ გოგირდის კვამლი შემოერთყმეოდა

მალახოვის ყორღანიდან დაწყებული „12 მოციქულთა“ სამხედრო ზომადამდე არსებულ სიერესს. ნავისადგურის ორივე მხარეზედ მდგომი რუსის ბატარეები უნდა შებოლილიყო გოგირდის აირით და მათ შემუსერის დამათავრებდენ სამხედრო ზომადღებში, რომელნიც მიუახლოვებოდენ და დიდებოდენ ლუბაზედ, კვამლის ფარდის მოფარებულნი. დენდოლანდმა ეს პროექტი წარადგინა 1855 წელს. განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა ეს მეორანდღობი. კომისიამ აღიარა პროექტის განხორციელების შესაძლებლობის აზრი, მხოლოდ მის დასკვნით: შედეგები იმდენად საშიშრელია და საზარელი, რომ არც ერთმა პატიოსანმა მტერმა არ უნდა ისარგებლოს ამ საშუალებითო“.

ამ მოსაზრებით კომისიამ განაჩენი გამოიტანა პროექტის შეუძლებლობისა და მისი ხელთნაწერის მოსპობის შესახებ.

ომში შხამიან აირების მოხმარება ყველა სახელმწიფოს მეტად აშინებდა, რის გამო 1864 წ. ჰააგის კონფერენციასზედ ევროპისა და აშის დიდ სახელმწიფოებმა დასდეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა ეხმარა შხამიანი ან მხუთარი აირის მსროლი იარაღი. აღსანიშნავია, რომ ან ხელშეკრულებას მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატების წარმომადგენელმა ხელი არ მოაწერა.

1907 წელს ჰააგის კონფერენციასზედ მიღებული წესების მე-23 მუხლში ხმელეთის ომის შესახებ ნათქვამია: „კათევგორიულად აკრძალულია შხამით ან შხამიანი იარაღით სარგებლობა“.

მიუხედავით ამ გვარ ხელშეკრულობისა, იმპერიალისტურ ომამდე იხმარებოდა მხუთარი აირიანი ვაზნები 26 მილიმეტრიან ზარბაზნებისათვის. ეს ვაზნები გატენილი იყო ეტილბრომ-აცეტატით, რომელიც იწვევს ცოტაოდენ სულის შეხუთვას და ცრემლის დენას; ეს ვაზნები გატენილი იყო ეტილ-ბრომაცეტატით, რომელიც აწვევს ცოტაოდენ სულის შეხუთვას და ცრემლას დეიას; ეს ვაზნები დანიშნული იყო მუდმივ სიმაგრების პატენებში ჩამალულ ზარბაზნებზედ და ტყვიამურქვეველ მომუშავე ჯარისკაცების საწინააღმდეგოდ, ეტილ-ბრომ-აცეტატის ორთქლით მსუნთქავთ სული ეხუთებოდათ და მოიერიშენი, ისარგებლებდენ რა მათი არეცდარევეთ, დაბრკოლებას ვადალახავდენ და სიმაგრეში შეიჭრებოდენ. ასეთი საშუალების ხმარება არ ეწინააღმდეგებოდა ჰააგის კონფერენციის დადგენილებას.

მიუხედავად ევროპის სახელმწიფოების დადგენილებისა, გერმანიელებმა დაარღვიეს იგი და 1915 წლის აპრილიდან მოხმარეს შხამიანი აირები, რითაც ჩაუყარეს საძირკველი ბრძოლის ახალ საშუალებას—ომში. აირების ანაზღვეულმა მოქმედებამ თავზარი დასცა მოკავშირეებს. პრესაში ასტყდა საშინელი აურზაური „მარბაროსულ საშუალებათა“ ომში მოხმარების საწინააღმდეგოდ. შემდეგში კი თვით მოკავშირეებმაც მიმართეს ქიმიურ ბრძოლის საშუალებებს. მათ ყებხედ დააყენეს თავიანთი მეცნიერება და მეცნიერ ქიმიკოსთა მთელი მისწრაფება მიიმაართა როგორც აირების სა-


შუალედის (რესპირატორების), ისე მძლავრ ქიმიურ ნივთიერების გამოიხვესკენ.

ამ ეპიდ უკვე ქიმიურ საშუალებით ბრძოლას არა ჰყავს შოწინალმდე და პირიქით პირველხარისხიანი სახელმწიფოების მთავარი ყურადღება მიმართულია ქიმიურ საქმის განვითარებისა და სათანადო სიმაღლეზე დაყენებისაკენ. სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს ჯარის ახალი გვარობა შეემატა, რომელიც სპეციალად ქიმიურ საქმეს ემსახურება. უწინ თუ გაიძახოდნენ, რომ „არც ერთი პატიოსანი მტერი თავისთავს ნებას არ მისცემს ამ საშინელ საშუალების მოხმარებისას“, ამ ეპიდ ყველა მათგანი გულახდილად აცხადებს, რომ იგი მომავალ ომში ქიმიის უქვეყლად მოიხმარს.

წარსულ ომში 44 სხვა და სხვა ქიმიური პრეპარატი უხმარნიათ—ამათ რიცხვში უმათვრესად 14 ნამეტნავად ძლიერია და იგი უფრო ხშირად გამოიყენებიათ წარსულში.

იმპერიალისტურმა ომმა ჩვენ ნათლად დაგვანახა, რომ ბრძოლა და ომი თანამედროვე ხანაში სწარმოებს არა მარტო ჯარსა და ჯარს შორის, არამეო სახელმწიფოთა ყველა ძალებს შორის. ბრძოლა არა მარტო იარაღით, ეკონომიური სიმძლავრით და სხვ, არამედ მეცნიერებათა, უცხო სახელმწიფოებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ქიმიურ დარგს. ქიმა გახდა საერთო აუცილებელ ცოდნათ. საბჭოთა რესპუბლიკები შემორტყმულია ბურჟუაზიულ ქვეყნებით, რომელნიც ყალყზედ დგანან და მათი შემუსვრა სიზმარში ელანდებთ, მაგრამ წითელი არმია სადარაჯოთ უდგას საბჭოთა რესპუბლიკებს და მტერს მულად სათანადო მასულს მიაართებს—იმავე ხასიათისას, როგორსაც ისინი უქადაიან. „იმით აქვთ ქიმა, —სთქვა ტფილისში აშხ, ტროცკიმ, —ჩვენც გვექნება ქიმა. ქიმა შეგნებული მუშისა“. წითელ არმიის ბელადის სიტყვები უშედევით არ დარჩა. ამ ეპიდ საბჭოთა რესპუბლიკებში ამოძრავდა საზოგადოება და ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონია ქიმიასთან შემოკრა ე. წ. „დობრქიმიის“ გარშემო. ქიმიის შესწავლა და ცოდნით გამოყენება საბჭოთა რესპუბლიკების ყველა შეგნებულ მოქალაქის აუცილებელ და სავალდებულო საქმეთ უნდა გახდეს. ქიმა უნდა ფართე მასების საკუთრებათ გახდეს, რათა გაჭირვების დროს—ყველა მხად დახვდეს მომდგარ საფრთხეს ცოდნით და მომზადებით.

გ. ბარანაიშვილი.



საშუალო სკოლისთვის

(ნარკომპროსის საყურადღებოთ.)

უნუგვო მდგომარეობაშია საშუალო სკოლა. ის დაშორებულია რევოლიუციონურ სულისკვეთებს, თითქმის ის გამხდარა ლაბორატორია, სადაც ყოველი მხრიდან განდევნილმა იდეალისტურმა ფილოსოფიამ მოიკალათა, მოიდგა ფეხი და ამზადებს თავის მომავალ ძალებს მომავალ ბრძოლისათვის. აშკარათ ხდება ეს. ყოველ დღე ხდება ეს. ვინ არის აქ დამნაშავე? დამნაშავე ის ახრია, რომელიც რევოლიუციას ხედავს მხოლოდ მუშტის დერებაში და იარაღის ქლარუნში. საჭიროა მეორე,

სხვა ახრის შეთვისება, ეს ახრი კი ასეთი უნდა იყოს: რევოლიუციონური საქმეა, როდესაც, სკოლა რომ ავიღოთ, ბავშვს გასწრთვნი ისე, რომ ტვინიდან ღმერთს ამოუღებ, ვულიდან ბიბლიურ ზღაპრებს და მათ ნაკვლად მიაქცევ მის ყურადღებას გარემო ქვეყანას, მის მოვლენებს, სიცილს და ტირილს და აუხსნი, ჩაუნერგავ გულში, რომ ეს არავითარ ზეძალს არ გაუჩენია, რომ თვით ადამიანია შემომქმედი და ზეძალა.

როგორ მიდის ჰუმანიტარულ საგანთა სწავლება საშუალო სკოლაში? მთავარი საგნები ამ მხრივ არიან ლიტერატურა და ისტორია, განსაკუთრებით ისტორია, ლიტერატურა ზღაპრია, თუმცა საჭირო. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ მხრივ აქვს მასწავლებელს. თუ ახსენი ისტორიული მოვლენები, როგორც „ღვთის მიერ არჩეულ ქურქელთა“ (როგორც ამბობდა ვლადიმერ სოლოვიევი) საქმენი საკვირველი, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება ნებას აძლევს მასწავლებელს მოსკრას ის ტოტი, რომელზედაც ზის სკოლა, დაუნერგოს რევოლიუციას ის შენობა, საიდანაც უნდა გამოვიდნენ დამხმარე ძალები პროლეტარიატისთვის. ცუდია ამ მხრივ მდგომარეობა, საშუალო სკოლაში ბატონობს იდეალისტური ფილოსოფია და ეკექტიზმი, ბოგინობს მარქსიზმი ან სულ არაა. საშიშია უფრო ეკექტიზმი, ეს ყველაფერის ფილოსოფია, როგორც მას უწოდა პლენანოვმა. საშიშია ის იმით, რომ „არავგეს“ სულს მატერიასთან, ღმერთსა და იდეას ატომსა და გონებასთან. შეეჩვევა მოწაფე ასეთს მეთოდს მსჯელობისას და მერე რამდენიც ვინდა ურახუნე მარქსისტულათ—ვერას გააწყობ. ურას გააწყობ სანამ თვით ცხოვრება არ დაურახუნებს მაგრათ. ხოლო საშუალო სკოლაში ძალიან ცოტა გვყავს მარქსისტები: საჭირო არაა, რასაკვირველია, მასწავლებელს პარტიული ბილეთი ედოს ჯიბეში, საჭიროა მასწავლებელს მარქსიზმი ედოს თავში. ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო განათლების კომისარიატმა ამას უნდა ყურადღება მიაქციონ.

დღეს ხდება „წმენდა“ უმაღლესს სასწავლებელში. არ მიაღწევს ეს წმენდა მიზანს, არა. რამდენიც არ უნდა „წმინდოთ“ უნივერსიტეტი, თუ საშუალო სკოლა არ მოკცემს წმინდა მასალას მარქსისტების მხრივ, იქსუფთად საქმე არ იქნება. საჭირო იქნება ყოველწლიური „წმენდა“. ესე იგი Скакa про бeлaгo бнчкa რუსები რომ იტყვიან ხოლმე. ამიტომ საჭიროა ყურადღება იქნეს მიქცეული ამ ზაფხულში, რომ მასწავლებელთა „წმენდა“ ხდება იმისათვის, რომ მარქსისტულათ მოაზროვნეთ ჩაუვარდეს ხელში სკოლა ჰუმანიტარულ საგნებში. საჭიროა შეთვისება შემდეგი აზრისა: უნივერსიტეტი არ არის დამნაშავე ბოლოს და ბოლოს იმავში, რომ ის სასკეა იდეალისტურათ აღზრდილ ახალგაზრდობით. უნივერსიტეტი აკვანი არაა, აკვანი საშუალო სკოლაა. მან თუ მიიღო განსაზღვრული მეთოდით მოაზროვნე ახალგაზრდა ძნელია მისთვის მისი გადაკეთება. გარდა ამისა პროფესორს არა აქვს იმდენი დაახლოვება სტუდენტთან, რამდენიც აქვს საშუალო სკოლის მასწავლებელს საშუალო სკოლის მოწაფესთან. საშუალო სკოლაში ყოველ-დღე ხვდებიან ერთმანეთს მას-

წავლებელი და მოწაფე; აქ მეტია დაახლოვება, მეტია ერთმანეთის გაგება. უნივერსიტეტში ხშირათ არც კი დაიარება სტუდენტი, იქ ნაკლებია დაახლოვება, ნაკლებია ერთმანეთის სულიერი, ფსიქოლოგიური გაგება, ეს გასაგებია. ამიტომ უნივერსიტეტს ვერ დაიპყრობს მარქსიზმი თუ ვერ დაიპყრო საშუალო სკოლა. შეიძლება გადააყენო მოწინააღმდეგე იდეოლოგიის პროფესორი, შეიძლება მისი კათედრა გადასცე მარქსისტ პროფესორს, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის. ვერ უშველის იმიტომ, რომ ის ჩადგება იმ ბიბლიური მთხვევლის მდგომარეობაში, რომელიც სინიდისიგრაჰ სთესდა, მაგრამ მისი თესლი ქვა-ეკლიან ნიადაგზე ეცემოდა. საჭიროა ამ ნიადაგის გაწმენდა მანამ, სანამ უმაღლეს სკოლას გადასცემდე მოწაფეს—სტუდენტს. მართალია, უმთავრესათ იდეოლოგიის ფორმაცია ხდება უმაღლეს სკოლაში, მაგრამ ფორმაციას მიმართულება ეძლევა ბევრათ ადრე, სახელდობრ, საშუალო სკოლაში. ამიტომ, ვიმეორებ, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება საშუალო სკოლისთვის. არ შეიძლება ეს სკოლა დარჩეს მარქსიზმის გავლენის გარეშე. და მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ორგანოს, რომელიც უძღვება ამ საქმეს. ხოლო ესეც დავიძახოთ, დეკრეტებით და განკარგულებებით არა გაკეთდება რა. ქალაქი დარჩება ქალაქათ, მკაცრი შინაარსით და სასაცილო შედეგებით. სასაცილოთ მტრებისთვის, სამწუხაროთ და სავალალოთ ჩვენთვის.

არის კიდევ ერთი მხარე, რომელსაც უნდა ახლავე მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ჩვენ არა ქვაქვს ქართული ლიტერატურის გარჩევა მარქსისტული თვალსაზრისით. ჩვენი მოზარდი თაობა იკვებება და იზრდება კიტა აბაშიძის ეტიუდებით და პროფ. ალ. ხახანაშვილის წიგნით. თუ როგორი დუხპირსა და სრულიათ სინიმივილეს დაშორებულს ცნობებს და კრიტიკას იძლევიან ეს ავტორები გაიგებთ თუნდაც ერთი მიწერე მაგალითიდან. პროფ. ხახანაშვილი ირწმუნება (ქართულის სიტყვიერების ისტორია, XIX საუკუნე, გამოცემა მეორე, გვერდი 86) „თავდაპირველად მან (ილია ჭავჭავაძემ) აღიმაღლა ხმა ბატონ-ყმობის წინამდებ... ეს ხომ აშკარა სიცრუეა. არავითარი ამის მსგავსი არ ყოფილა. ცნობილი ლექსი ილიას „მემისი, მესმის“ დაიბეჭდა ბატონ-ყმობის გადავარდნის 7 წლის შემდეგ; დაწერილი იყო 1860 წ., ბატონ ყმობა გადავარდა 1864 წ., ლექსი დაიბეჭდა 1871 წელს. ასეთი და ამგვარი ზღაპრებით კვებავს დღევანდელი სკოლა დღევანდელ მოწაფეს. მოვიყვან მეორე მაგალითს: აბაშიძე ამბობს 80-ან წლებში ჩვენში ისეთი მდგომარეობა იყო, რომ უსათუოდ ნატურალისტური მიმართულება უნდა გამეფებულყო ლიტერატურაში, მაგრამ, შეხებ რა შეუძლია ნიქსა ზეგარდმო ცხებულსაო, ყაჩაღებმა ნეორომანტიული მიმართულება გაამეფაო. ეს ისეთი სასაცილო დებულებაა, რომ მე მას გარჩევს ღირსათაც არა ვხდი, მაგრამ ეს დაწერილია, ამას ეწოდება კრიტიკა და ამ კრიტიკით საზრდოობს და აზროვნობს ჩვენი ახალი თაობა.

რა უნდა ქნას სახალხო განათლების კომისარიატმა? აი რა უნდა ქნას: ძალები არის,


უნდა მან გაიღოს საქირო თანხა რამდენიც არ უნდა დაჯდეს ეს და მიაწოდოს ჩვენ სკოლას მარქსისტული კრიტიკა ჩვენი ლიტერატურისა. თუ მას აქვს თანხა იმისთვის, რომ საოპერო თეატრში დადგას „ალბები“ და „პიკის ქალები“ (ვისთვის, ბურჟუაზიისა და სპეკულიანტებისთვის, არა?) ნუთუ ამისთვის არა აქვს საქირო თანხა? **უნდა დაიწეროს და უნდა გამოიცეს ასეთი კრიტიკა.** სხვა რომ არა იყოს რა, ფილიპე მახარაძის მონოგრაფია „სურამის ციხეზე“ მაინც ვერ გამოცხადდა სახელმწიფო გამომცემლობაში რატომ არის ეს წიგნი დიდოგონის სანათურით საძებნი?

ასეთივე მდგომარეობა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების საქითხშიც. ეს საგანი ჩვენს სკოლებში გამსდარა პატრიოტული გრძობების სავარჯიშო საგნით: არ არის არამც თუ მარქსისტულად დაწერილი სახელმძღვანელო, არ არის თვით გორგაძის წიგნიც ახალი საუკუნეების შესახებ.

უნდა მოიღოს ბოლო ამ უთავბოლობას. ახლავე უნდა იქნეს მიღებული ზომები ამ მიუღებელი მდგომარეობის სათანადოდ გამოსასწორებლად. დაყენება მომავლინებელია.

საშუალო სკოლა უნდა გახდეს ჩვენი განსაკუთრებული მუშაობა კი ამ დარგში უნდა ცნობილ იქნეს რევოლუციონერ საქმეთ.

რ. კ.—ია.



პროლეტარული ხელოვნება *

II

ვინც საქართველოს ხელოვნების განვითარებით არის დაინტერესებული და მის მაჯის ცემას თვალ-ყურს ადევნებს, იმისათვის ქეშმარიტი და უდავოა ის ფაქტი, რომ ჩვენი პასუხისმგებელი აზნაგები, რომელნიც ამათუ იმ სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელები არიან, გაცილებით მეტ ყურადღებას და მეტ დახმარებას უწყვენ იმ ელემენტებს, რომელნიც სხვა და სხვა სახის „პოპულარიზებათ“ გვევლინებიან.

უდავოა ისიც, რომ ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებათა სამკვდრო-სასიცოცხლო ომში საბჭოთა სათანადო ორგანოში წამყვებლის როლი უნდა ითამაშოს, ყველა მთავანს კიდევაც უნდა დაეხმაროს, მაგრამ სოციალისტურ სახელმწიფოს ყოველ დარგში აქვს თავისი რევოლუციონერი ხაზი და როგორც სხვაგან, ხელოვნებაშიაც კლასიური ხაზი ყველაზე მაღლა უნდა დააყენოს.

საქართველო პოეზიის ქვეყანა და ამიტომ არის, რომ ხელოვნების ფრონტზე ძლიერი იერიშები სწარმოებს.

ჩვენ წინა წერილში ვწერდით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ დღეს დარჩენილია ერთი ფრონტი, ფრონტი ხელოვნების, რომელიც აუცილებლად პროლეტარულმა ნებისყოფამ უნდა დაიპყროს.

როდის შეიძლება ამ ფრონტის ხელში ჩაგდება? მაშინ, როცა ხელისუფლების მიერ პროლეტარულ ხელოვნებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ზოგიერთი ჩვენი აზნაგა

კატეგორიულად უარსყოფს პროლეტარული ხელოვნების ჩასანახსაც კი.

ეს შეცდომაა.

ქართულ ხელოვნებას ახსოვს ბურჟუაზიულ მწვერვალებამდე ასვლა.

ეს განზავსთ ხელოვნების ხანა, რომელმაც „მეურყეველ“ ძველად ილია ჭავჭავაძის პროზული დაისახა.

ამავე მწვერვალებისაკენ მიიწეეს დღეს „ქართული სიტყვა“, რომელსაც ილიას პატრიოტი ვახტანგ კოტეტიშვილი ხელმძღვანელობს, და „ქართული სიტყვის“ პირში შვილი „კავკასიონი“—

მაგრამ სწორედ ილია ჭავჭავაძის მბრძანებლობის დროს გამოჩნდნენ „ურჩნი“ და გამოაცხადეს ეს შეუპოვარი ბრძოლა ბურჟუაზიული ხელოვნების წინააღმდეგ.

ეგნატე ნინოშვილის ქვეყანა ხელებმა გაარღვია ილია ჭავჭავაძის მიერ შემოვლული რკინის სალტები, აქედან იწყება მეშაენური დღევის „ხელოვნება რჩეულთათვის“ სასტიკი განადგურება.

დაახ, აქ ისახება პროლეტარული ხელოვნების მეობა.

და განა შეიძლება დღეს იმაზე ლაპარაკი, რომ პროლეტარული ხელოვნება ჯერ არ ჩასახულაო? მაშ რა არის მუშა-მგონის იოსებ დავითაშვილის სევდიანი სტრიქონები?

ქოლა ლომთათბის შუემნობელი ცრემლები? ჩვენ აქ განვებ არ ვეხებით ახალ პროლეტარულ პოეტებს, რადგან ჩვენი მიზანია დავამტკიცოთ პროლეტარულ ხელოვნების ჩანასახი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში.

ამა თუ იმ ერის ხელოვნება იმდენად არის განვითარებული, რამდენადაც ეს ერი ხერხემალ მაგარი არის.

ამის დამამტკიცებელი საბუთები თვით ახლო წარსულში მოიძებნება.

წარმოდგინეთ ჩვენი ხელოვნების გაყინვა რევოლუციამდე და მისი ფრთების გაშლა რევოლუციის შემდეგ.

დღეს ხელოვნების განვითარებამ იქამდე მიაღწია, რომ რამდენიმე სკოლათ ჩამოყალიბდა.

ეს აუცილებლად წინსვლის ნიშანია.

ოთხმოცდაათიან წლებამდე საქართველოში პოლიტიკური ბრძოლის ჩანასახი არ სჩანდა, გარდა თავად აზნაურების დარაზმისა, რომელთა მიზანი იყო მონარქიული საქართველოს აღდგენა და წოდებრივი ბატონობა.

ჩვენი ხელოვნებაც მაშინ წმინდა წყლის თავად-აზნაურული იყო, რომელიც სევდიან სტრიქონებით მოსთქვამდა ბავრათიონთა დინასტიის დანგრევას და აი შემოანათა მარქსისტულმა მოძღვრებამ, ჩამოყალიბდა მესამე დასი, გაჩაღდა პოლიტიკური ბრძოლა და მასთან ერთად მოგვევლინა მარქსისტი მწერალი ეგნატე ნინოშვილი, რომელმაც ხელოვნებაში ახალი მიმართულება შექმნა.

როგორც ზვით აღენიშნეთ, აქედან იწყება პროლეტარული ხელოვნების არსებობა.


პოლიტიკურმა ბრძოლამ მიაღწია ოქტომბრის მზიან დღეებს.

პროლეტარული ხელოვნება შევიდა ოქტომბრის სხივებში მარქსისტული საბით.

ვინ არიან პროლეტარული მწერლები საქართველოში ან რა დროებულეობა მისცეს მათ ქართველ პროლეტარიატს?

ამაზე შემდეგ წეროლში.

შალვა გომართელი.



საქართველოს პროლეტარული

კულტურული ფრონტი ერთ დიდ მნიშვნელოვან ფრონტთაგანა საერთო გამარჯვების საბოლოოდ მოსაპოვებლად. გამართული ბრძოლის სიმძიმე პროლეტარიატის და ხავესმოკიდებულ სამყაროს შორის თანდათან გადადის ამ სფეროში. ყოველივე ეს საერთაშორისო პროლეტარიატს კარგად ჰქონდა გამოხეული იმ თავიდანვე (რევოლუციის დასაწყისშივე) და შეუდგა კიდევ სათანადო მზადებას პროლეტარული საბით.

1920 წელს მოსკოვში კომინტერნის მე-III კონგრესზე სხვა და სხვა ქვეყნების მშრომელთა წარმომადგენლების შეერთებულმა თათბირმა დაადგინა საერთაშორისო პროლეტარული ბიუროს დაარსება, რომელშიც შევიდნენ—მაკლენ-კედეჩი (ინგლისი), ლეფერი (საფრანგეთი), გერცოვ ბახტელი (გერმანია), ტომანი (ავსტრია), ბომბაჩი (იტალია), ვარფან—ვერსტრაეტენი (ბელგია), ემბერდროვი ბრინგელფი (შვეიცარია), ფონ-რიდი (ამერიკა), ა. ლუნ-ჩარსკი და ვ. პოლიანსკი (რუსეთი), ლანგატი (ნორვეგია).

ბიუროს პრეზიდიუმში გამოყო შემდეგი აზნაგები: ა. ლუნჩარსკი (თავმჯდომარე), ე. პოლიანსკი (მდივანი), წვევრბად: მაკლენი, ლეფერი, გერცოვი ბომბაჩი და ემბერდროვი, რომელმაც თავის დროზე შესაუერისი მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის მშრომელებს. ჩვენში, ჯერ კიდევ გასაბჭოებამდის პროლეტარულ კულტურის ფრონტზე სწარმოებდა ენერგიული მუშაობა. ქერ ქვეშ მოქცეული პროლეტარული მწერლები: რაქდენ კალაძე, აკოპ-აკოპიანი, სილვა თოდრია, სურენ ერზინქიანი, ს. ეული, ნ. ზომლეთელი, დ. კობახიძე და სხვები აქტიურ მონაწილეობას ლეხულობდნენ ყველა არალეგალურ გამოცემებში და განსაკუთრებით-კი „კომუნისტში“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის განსაკუთრებული თავგამოღებით მუშაობა ამა. სურენ ერზიკიანის, რომლის საშუალებითაც მუდმივი კავშირი იყო გაბმული რუსეთის პროლეტარულთან.

გასაბჭოების პირველ დღიდანვე ტფილისში დაარსდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ეროვნული სექციებით, რომელიც შეუდგა ქართულ ენაზე ჟურნალ „ქურას“ გამოცემას და სომხურზე „სამქედლოს“ ასოციაციამ გამოაქვეყნა საკუთარი დეკლარაცია და გამართა ლიტერატურული ფრონტი ანტი-რევოლუციონერ ძალების წინააღმდეგ.

1922 წლის ჩაპრილში პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის, პოლიტ-განათლებლის და პროფკავშირების კულტ-განყოფილების მონაწილეობით დაარსდა საქ. პროლეტარული საორგანიზაციო ბიურო შემდეგ აზნაგები-საგან: რაქდენ კალაძე, ს. ეული, ვ. ივანტოვი, მდღენაოვი, იონა ვაკელი და დუმენსკი—1923 წლის ივლისში კულტურულ ფრონტზე მუშაობა

* იხილეთ „სიმართლის ხმა“, № 26.

საერთო კრებაზე დაარსდა პროლეტკულტის საზოგადოება, რომლის ინიციატივით მოეწყო პროლეტარულ შემოქმედების ასპარეზი და ტენიკუმი.

ამა წლის 7 თებერვალს ტფილისში შესდგა პროლეტკულტის მუშაობის საერთო ყრილობა, სადაც მონაწილეობას იღებდა (ქართულები, სომხები, რუსები, ოსები, თურქები, ებრაელები და სხვა) 321 დელეგატი. ყრილობამ შეიმუშავა საზოგადოების წესდება, გამოიტანა სათანადო რეზოლუციები და აირჩია ახალი საბჭო, გამგეობა, პრეზიდიუმი და სარევიზიო კომისია.

პრეზიდიუმის წევრებად არჩეული არიან— განათლების კომისარი ანხ. დ. კანდელაკი (თავმჯდომარე) მოადგილეებად: ანხ. ანხ. აკოპიაშვილი, ლ. რუხაძე, ს. ეული, ვ. ივანტაივი და იხილორე თალაქვაძე.

მიღწევა. ანხ. სერგო კანდელაკი. სარევიზიო კომისიაში: ანხ. რაქვინ კალაძე (თავმჯდომარე), წევრებად: კაპარავა და მელოიკი.

ამავე წლის დასაწყისში პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია გადანიშნა კავშირად და შეუდგა სალიტერატურო გაზეთ „რომის“ გამოცემას. მარკაბედი კოპკევიჩის უფრანდ „მომავლის“ ირგვლივ მუშაობის ეწეოდნენ ახალგაზდა პროლეტარული მწერლები.

პროლეტკულტის ტენიკუმი.

პროლეტკულტის ტენიკუმი არის ის ლაბორატორია, სადაც უნდა გამოიწვრთნენ ახალგაზდა მუშა მწერლები. იგი არის ნამდვილი სამეცნიერო პროლეტარული სიტყვის, სტილის, თქმის და სხვა. ამ ჟამად ტენიკუმში თავმოყრილია 150-დან მსმენელი, რომელთა დიდი უმრავლესობა წარმოადგენს მუშურ და გლეხურ ელემენტებს.

ტენიკუმი შესდგება ნაციონალურ სექტორებისაგან და სექტორები კი იყოფიან დარგებად ხელოვნების მიხედვით, მაგალითად ქართულ სექტორს აქვს საკმაო მომარგებული ლიტერატურული, და დრამატული სტუდიები. მუსიკალური და სხვები ჯერ კიდევ იმყოფებიან საორგანიზაციო პერიოდში.

ამავე პირობებშია რუსული სექტორი. დანაწილდნ ეროვნებათა სექტორები ორგანიზაციულად ჯერ მომარგებული არ არიან.

არსებულ სტუდიების მუშაობა, როგორც მისალოდნელი იყო, ინტენსიური და ნაკოფიერი გამოდგა: დრამატული სტუდიები ამა წელს მისის პირველ რიცხვებში საჯაროდ გამოვიდნენ წითელ თეატრის სახით სასცენო ხელოვნების ასპარეზზე და დაიწყეს მოქმედება.

ს მისის ქართულ სტუდიამ წითელ თეატრში (ყოფილ სახალხო სახლში) ანხ. დ. კობახიძის რეჟისორობით დადგა ვერპანის „რიერაიე“, რომელიც სრული გამარჯვებით დასრულდა.

ასე, რომ, საქართველოს მუშათა კლასს უკვე აქვს საკუთარი წითელი თეატრი, რომლის ქსელითაც სულ ახლო ხანში მოიფინება დაბაქალაქები და სოფლები. ლიტერატურული სტუდიაც დაავადებებს მშრომელთა წიადიდან გამოსულ მუშა მწერლებს და პოეტებს, რომელთა მრავალობაც იქნება მუშათა ყოფის,

მათი ტკივილების და სიხარულის უნაკლოდ ასახვა; მშრომელთა ფართო მასების კულტურული დონის ამაღლებისათვის უნდაგრო მოღვაწეობა და სხვა.

თუ რამდენად ლიტერატურული სტუდია მკვიდრათაა დაწყებული სხანს იქიდან, რომ რამოდენიმე თვის განმავლობაში გამოსცა ხუთი ნომერი კედლის გაზეთის და დაამზადა კრებული „სადარაჯოზე“ გამოსაცემად.


ამრიგად პროლეტარულ კულტურის ფრონტზე გაჩაღებული მუშაობა ხელსახებ წარმატებებით მიიმართება და მოსალოდნელია ახლო ხანში დიდი მიღწევები და ფრთავაშლილობა.

საქართველოს მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების და მათი ამ სფეროში ჩაბმის საშუალებათ მივანინია ერთად-ერთი პროლეტკულტი და მოუწოდებთ ჩვენს ამხანაგებს მიაშურონ პროლეტკულტის კედლებს.

უნდა გეხსოვდეს, რომ პროლეტკულტის ალორძინება, რომელიც იქნება მაჩვენებელი მუშათა კლასის კულტურის გაფურჩქნის, დამოკიდებულია თვითვეულ მუშა-გლეხზე.

რამდენათ დიდი იქნება მათი ხალისი და აქტივობა, იმდენათ წარმატებით დაგვირგვინდება პროლეტკულტის მუშაობაც; იმდენათ ახლობელ ხანში და იოლად მოიფინება დაბასოფლები პროლეტკულტის წიგნ-საცავი ქობ-მახებით. ვისწრაფით, ამხანაგებო, კულტურულ დოვლათიანობის საქმეში მდნაწილეობის მისაღებათ.

მეგობარი.



მეჩუობა უნდა გოლო მოვლოს თუ არა?

მეშვიდე წელიწადი, რაც რუსეთის პროლეტარიატმა თავის სისხლით შეღებილი წითელი დროშა ააფრიალა.

მეშვიდე წელიწადია, რაც ბუმბერაზ რუსეთის მშრომელ მასსამ, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოუქცადა კაპიტალისტურ სამყაროს.

წითელ ოქტომბრის წითელ ღოზუნებებმა შეარყია მთელი დედა მიწა, ძირი გამოთხარა ბურჟუაზიის და საძირკველი ჩალყარა მშრომელ ხალხის საბოლოო განთავისუფლებას — კაპიტალიზმის მძიმე უღლისაგან. ჩვენ, შრომის ღვიძლ შვილებმა დაეინახეთ რა ეს ყველაფერი, ავწონ-დავწონეთ, გაუკეთეთ სწორი ანალიზი და დავრწმუნდით, რომ ასეთ სახედისწერო მომენტში, ასეთ ისტორიულ ხანაში, როდესაც დედამიწის 1/6 ნაწილზე გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს შრომასა და კაპიტალს შორის; მაკდონალდების, ვანდერველდების, სნოუდენების, უორდანიას ჩვენკელების პირში შვილი-დაღრეჯილი მენშევიზმი უმოწყალოთ დალატობს მუშების-გლეხების კლასობრივ ინტერესებს, პროლეტარულ რევოლუციის წითელ დროშას და: —

თავისი მხეცურ, ველურ ტაქტიკით ხელს უწყობს კონტრ რევოლუციონურ იმპერიალიზმის გამარჯვებას ბანდიტიზმის და ინტერვენციის მოტრუალეთა ქურუმებს... გაკოტრებული, გათახსირებული მეორე ინტერნაციონალი, რომელმაც ფაქტიურათ ხელი აიღო

მშრომელ პროლეტარიატის ხელმძღვანელობაზე, და რომელიც გაეხვია ლოკოკინის ბუდეში, მიზნათ დაისახა კლასთა სოლიდარობის რეფორმისმი და შოვინიზმის ქადაგება; დაჯარგა თავისი გავლენა, ავტორიტეტი საერთაშორისო პროლეტარიატზე. ის უკვე თავის გარშემო ველარ აერთიანებს მუშათა კლასის რევოლუციონურ ელემენტებს და მალე, სულ მოკლე ხანში ჩამოჰყარეს ზარი, გასაკონათ ყველა ქვეყნის პროლეტარიატისა, რომ მათ დაჰკომონ, თავიანთი, ოდესღაც სოციალისტური პრინციპებით და იდეებით გაქვინთილი, მხოლოდ ეხლა კი დრომოქმული, დაქოფაკებული, უკბილო და პუნაკარე-მარსალეების ლაქია—ჩვარი მეორე ინტერნაციონალი! გვერდში ამოუდგენ წითელ მოსკოვის მესამე ქემმარტი ინტერნაციონალს, რომელიც ნამდვილათ გაანთავისუფლებს მათ კაპიტალიზმის ბასრი ბრქვალეებისაგან.

აი ამას წინასწარ ალო ალო, წინასწარ გაითვალისწინა საქართველოს მშრომელ პროლეტარიატმა და გლეხკაცობამ, ამიტომ მდგრათ, თამამდ გამოვიდა ჯერ პრესაში, შემდეგ ადგილობრივ სამაზრო კონფერენციებზე და ბოლოს, სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობაზე შარშან, 25 აგვისტოს რიკხვებში, გლუახდითა აღვიარა თავისი შეცდომანი, საესებით გამოამტლავნა თავის პარტიის წვრილ-ბურჟუაზიული მიდრეკილება, სულსკვეთება, რეაქციონურ—ბანდიტურ ძალებთან დაკავშირება და ავანტიურიზმში ჩაბრჩობა...

როგორც ამ ყრილობაზე ისე, შემდეგ თვრამეტი ათას მუშამ და ახალგაზრდობამ გაჰკიცხეს დახავსებული მეორე ინტერნაციონალის ბებერი შტრიკებებერები, მიაფურთხეს მათ და გულში მიიხუტეს პროლეტარიატის დიქტატურით—სოციალიზმისაკენ, ერთად ერთი მართალი, სწორი და ქემმარტი დევიზი.

ეს იყო ჩვენი შექმენი ვარსკვლავი, ამ ვარსკვლავის გზით უნდა გვეარა. მაგრამ, მას შემდეგ ვანლო თითქმის 16--11 თვემ, ეს კოტა დრო არ იყო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უნდა დაგვენახებია ჩვენი ნამდვილი ფიზიონომია, არ უნდა გამოვდგომით უბრალო, უმნიშვნელო კინკლაობას, საბუთათ არ უნდა დაგვენახოს მეშანური თვისებანი, არამედ წმინდა პროლეტარულ თვალსაზრისით შევხედოდათ ყოველგვარ მოვლენას და სხვა.

მართლაც, მშრომელი ნაწილი უკვე გაითქვიფა თავის მოძმე კომუნისტებში, მას ველარაფრით ვერ გაარჩევთ, ის სულით და ხორციით უკვე შეეთვისა მას, მიუხედავით იმისა, რომ მათში, ჯერჯერობით ბევრს კომუნისტურ პარტიის ოფიციალური წიგნაკი არ უდევს უბეში.

ეს სრული სინამდვილე და ნორმალურია. ახლა, ამ კრიტიკულ მომენტში რას აკეთებენ ყოფილი მენშევიკების ის ყოფილი ლიდერები, რომლებიც ძალაუნებურად შესდგენ 25 აგვისტოს პოზიციებზე?

ეს ვაებატონები, ან სრულ პოლიტიკურ სიკვდილს განიცდიან და სულს ლაფავენ, ან არა და ძველებურათ კუნჭულებში განაგრძობენ ჩურჩულ კურკურს თავიანთ ძველ მეგობრებთან, იმ მეგობრებთან, რომლებიც თბილ ალა-

* სწავლა უფასოა.

გებში მოკალათებულნი საბჭოთა ხელისუფლების მთელი სიამოვნებით უხვად სარგებლობენ, მხოლოდ „თეთრ კბილს და შავ გულს“ კი უჩვენებენ მას...

დროა ასეთი „ამხანაგების“ ალაგმვა!
დროა გაცხროლვა ყოფილ მენშევიკების პარტიისადმი პარამზხად, უსინდისო ელემენტებისაგან, რომლებიც ჯერაც ვერ გამოირკვეულან, სხედან ორ სკამზე და უსუსური ბავშვებივით ქანაობენ...

მერყევი ელემენტები დისონანსის შემტანი არიან საერთოდ არამც თუ პოლიტიკურ სფეროში, არამედ მშენებლობის პროცესშიაც.


ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია“.

ჩვენ გვსურს კონტაქტური მუშაობა ამ. კოპუნისტებთან, რადგან ფაქტიურად ჩვენ უკვე კომუნისტები ვართ და არავის ვაპატიებთ, ამ საერთო ფერხულის ჩაშლას...

ვისაც არ სურს ჩვენთან ყოფნა, დევი ის ჩამოგვმორდეს ჩვენ, მოკვდეს პოლიტიკურად, ეს ათასჯერ ხელსაყრელი იქნება პროლეტარიატისათვის, ვიდრე მერყეობა.

ბოლოს და ბოლოს მერყეობას ბოლო უნდა მოეღოს თუ არა?

ივ. დავითიანი.



ჩემი პასუხი

ამ რამდენიმე დღის წინათ მე მივიღე უსახლო წერილი „ნომადი ქალის“ ფსევდონიმით. აი ზოგიერთი ადგილები იქიდან: „ჩეკას მოქალაქე ქორქია!.. ამ წერილის დაწერა გამოიწვია თქვენმა უნაყოფო მოქმედებამ... თქვენ ხართ ის ყოფილი ქართველი მოქალაქე, რომელიც იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას... დაუფიქრდით, თუ რას გიწოდებთ დღეს და რა ხართ. თქვენი ხართ „ჩეკის ფინია“ იმათთან ერთად, ვინც არიან თანამშრომლები „სიმართლის ხმისა“. უნდა იცოდეს ქართველმა მოსწავლე ახალგაზრდობამ, თუ ვინ იყავით თქვენ და რა ხართ ეხლა... წადით ისევ იმათთან, ვისთანაც ერთად იდებოთ გუშაგად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის... გამოისყიდეთ და უფრო კი შეიმსუბუქეთ სასჯელი, ამბოა თქვენი მოქმედება იმათ შორის, რომელნიც ეხლა გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე, უნაყოფოთ ნუ ხარჯავთ ენერჯიას. მოახლოვებულია საქართველოს განთავისუფლების დღეები. მდგომარეობა გართულებულია“ და სხვა. გარდა ამისა წერილში უწმაწური ლანდღა-გინებდა, საშინელი ზიზღით და შხამით გახდენითლია.

ვისი კარნახითაა დაწერილი ეს წერილი? ვის ეკუთვნის ის? მართლა მოწაფემ დასწერა? თუ მოწაფეს მარტო ასოები ეკუთვნის, ხოლო აზრები სხვისია? ვისი სულელური ხელი მართავს ამ წერილის ავტორს?

სულ ერთია, ვისიც არ უნდა იყოს წერილი, მოწაფის თუ არალეგალური ცენტრალური კომიტეტის, ის მაჩვენებელია იმ იდეური დაკნინების და სიღუპისათვის, რომელიც ახასიათებს ჩემს ყოველ ამხანაგებს პარტიიდან და იმათაც, ვისაც უწოდებენ ფართე საზოგადოებას. ამიტომ ვწერ ამ პასუხს.

ამ წერილში განმეორებულია ის ჰანგები, რომლებიც გვესმოდა ჩვენ უკვე შარშან, ახალი არაფერია. გინებაც ძველია და უზრდველობაც. სწანს, იმ ბანას, საიდანაც ეს წერილი გადმოსროლილი, არ წაუწვებია წინ არც იდეოლოგიურად, არც სულიერი, ფსიქოლოგიური განცდილი. გვესმინა ეს ჩვენ, ვიცოცხლე, რომ გვეძახიან მოლაპარაკებებს, გამყიდველებს, ჩეკის აგენტებს. (ახალი ამ წერილში თუ რამეა ეს ის, რომ განსაკუთრებული ტიტული დამიმსახურებია: „ჩეკის მოქალაქე“); ვიცით ისიც, თუ რა ზიზღით და თანატოლური შეურთველობით გვეპყრობიან, როგორც ყოფილი ამხანაგები, ისე ეგრედ წოდებული „საზოგადოება“. არ არსებობს ჩემთვის ახალი არც კილო წერილისა. არც მაინტერესებს ავტორის ვინაობა, თუმცა ის იმალება „ნომადი ქალის“ ფსევდონიმში. მას ეშინია არ გავსცე, არ დავატუსალებიო ჩეკას. ტუყური შიშია. ჩალის ფასი აქვს ჩემთვის მისი პიროვნებას, მისს „ქეშმარიტ რევოლუციონერობამდე“ ვერ დავეკნინდები, ვერც იმას დაუფურცებ თითქოს „საქართველოს მოახლოებული განთავისუფლების დღეებში“ მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. ყველას აქვს უფლება თავის თავზე დიდს წარმოდგენის იყოს. გოგონის შემთხვევაში დიდი წარმოდგენის იყო თავის თავზე. მას, მაგალითად, ესპანეთის შევედ მოქონდა თავი. ჩემს კორესპოდენტსაც დიდი პოლიტიკურ მოღვაწედ მოაქვს თავი. მისი რევოლუციონერი თავის ღირებულებაზე მისი წერილი ღალატებს. მე კი პასუხს გავცემ „იმ ხაზზე, სადაც ჩვენ „ჩეკის ფინიებს“ გვეძახიან და ბრალს გვდებენ საქართველოს მოლაპარაკებაში.

სად, როდის, მარქსისა და ენგელის, ლენინისა და ჟორდანის რომელ წიგნში, ან რომელ კარბადინში ამოიკითხეს მათ, თვალდამწვარ მუსულმან თანატოლებს, რომ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას აქვს უფლება თქვას: მხოლოდ და მხოლოდ მე ვარ პროლეტარიატის დატერის დამცველი, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გზაა სწორი, ჩემი კათეხიზმოა უტოდველი და სხვა ყველაფერი, სხვისი ყოველივე გამცემლობა, მოლაპარაკება, ბოზობა, „ჩეკის ფინიობა“! მე არ ვიცი ასეთი წიგნი, მეცნიერული სოციალიზმის წიგნი, ეგება მიჩვენონ? როგორ გონიათ მათ, ილარიონ გიორგაძის მკვლევებს, შეუძლია ჩეკას სულში ჩაუძვრეს ადამიანს, გახრწნას რევოლუციონერი? შეუძლია ფულს იდეის ჩეკიზაცია მოახდინოს 12 ათასი რევოლუციონერთა სულში? შეიძლება ერთის, ორის, ათის მოსყიდვა, მაგრამ შეუძლებელია ამდენი ხალხი იყიდო. შეიძლება ერთი პოლიტიკური ჯგუფი არ იზიარებდეს მეორე პოლიტიკური ჯგუფის აზრს, მიმართულებას, შეიძლება ვებრძოლოთ ერთმანეთს, მტრები ვიყენეთ ერთმანეთის, მაგრამ არის ელემენტარული მოთხოვნილება, რომელიც წაყენება წინ ყოველ პოლიტიკურ მოღვაწეს, ან პოლიტიკურად და რევოლუციონურად მოაზროვნეს, ეს არის პარტიისკემა მოწინააღმდეგისა, ეს არის შენი ადამიანობის დაცვა მტერთან ბრძოლაში. ვინც ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, ის არ არის პოლიტიკური მოღვაწე და რევოლუციონერი, ის ან ბავშვია ან

ბოზია სულით. ორივე შემთხვევაში მათთან ლაპარაკი უნაყოფო და უნაყოფო.

25 აგვისტო არ იყო პოლიტიკური თვითმკვლელობა, 25 აგვისტო არ იყო ჩეკის გამარჯვება ჩვენზე. ეს იყო მსოფლმხედველობის გადაფასება. ეს იყო ნაყოფი იმ ხანგრძლივი პროცესისა, რომელიც იყო ჩვენს პარტიაში ბევრად ადრე, ეს იყო უნაყოფო და უაზრო ბრძოლის დატოვება და ენერჯიის მიმართვა იქითკენ, საითკენ მიგვიითია ისტორიულმა აუცილებლობამ. როდესაც კლასის საქმე, მუშათა კლასის საქმე ვერ ჩაეტია ეგრედ წოდებულ „ერთივალ ფრონტში“, როდესაც დავკარგეთ მუშური ლოზუნგებიც კი, მაშინ შეუძლებელი იყო მარტო ლიტონი სიტყვები 25 მაისზე, ასეთი საგზალი ვერ გვეყოფინდა ჩვენ საბოლოო გზამდე; ერის ნერვების დაქიმვასაც აქვს საზღვარი, ძალების დახარჯვასაც უნდა ქონდეს გამამართლებელი საბუთი. არის წერტილი, რომლის იქით ბრძოლა კარგავს შინაარსს და იქა უშინაარსო ფიზიკურ-მექანიკური მოქმედებათ. და ჩვენ მივადექით ყაჩაღურ კარებს. პოლიტიკური ბრძოლა გადაიქცა შურისძიებათ და აქ დაშორდნენ ერთმანეთის მარქსიზმი და სოციალიზმი. ეს დაეინახეთ ჩვენ და შეგვეშინდა. ბრძოლამ მიიღო სიმამხინჯის ხასიათი და ჩვენ შეექმენით 25 აგვისტო.

არც ჩეკას უგებნია ჩვენზე გამარჯვება. ამ სიამოვნებას ჩვენ არავის არ მივცემდით. ჩეკას შეუძლია დაპატიმრება, ფიზიკური და სულიერი ტანჯვები მიყენება. ყოველ სახელმწიფოს აქვს ძალდატანებითი ორგანო. ჩეკა მხოლოდ იმით განსაზღვრება სხვა სახელმწიფოთა მონათესავე ორგანოთაგან, რომ ის მოქმედობს რევოლუციონერ ხანაში. მაგრამ ჩეკას არ შეუძლია გავგხადოს ჩვენ „ფინიებათ“. მე თვითვე შევადურთხებდი ჩემს თავს, რომ ოდესმე შემძლოს ვიფიქრო ძალდატანება შემაცვლენების რწმენას, ზელს ამაღლებინებს ბრძოლაზე.

მთელი ჩემი პირადი ცხოვრება შემიწირავს ჩემი რწმენისათვის. ფიზიკურადაც გაფუჭებული ვარ, მაგრამ შენარჩუნებული მაქვს გაუფუჭებელი რევოლუციონერი სინდისი და ამაყათ ვამბობ: არავის და არაფრის შიშით არ ამირჩევია მე ჩემი გზა, გზა 25 აგვისტოსი, ჩემმა რწმენამ მიმიყვანა ამ გზამდე და ვიარ ამ გზით. და მეტი სიფრთხილე ჩემი პოლიტიკური სინდისის დაფასების დროს...

ახლა გადავალ მეორე, ბევრისათვის მტკივნავან საკითხზე. ეს არის ქართველი ერის ლაღი ჩვენ მიერ.

მე მწერენ: თქვენ ხართ ის ყოფილი ქართველი მოქალაქე, რომელიც იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ედგა მას გუშაგათ ქეშმარიტ ქართველ მოქალაქესავით, დღეს კი თურმე ორკოფულ სიტყვებს გავიძახი... ეს უკანასკნელი სიტყუვა, ჩემი სიტყვა ჩემს საქმეს არასოდეს არ დაშორებულა. ვილაპარაკეთ პირველზე. დიან, ვიცავდი საქართველოს დამოუკიდებლობას, დიან, ვიყავი მისი გუშაგი... და განა ეხლა არ ვიცავ? და განა ეხლა არა ვარ გუშაგი? ეხლაც ვარ ჩემი ერის გუშაგი და ვიცავ საქართველოს დამოუკიდებლობას ევროპის იმპერიალისტური ინ-

ტრენინგისაგან, ვიცავ მას, მისს მუშას და გულსს, (მხოლოდ მათ, იკოდეთ) ყოველგვარ ავანტიურისტიკისაგან, შემცდარი ნაბიჯებისაგან, ქართველი ერის გამოყენებას არალეგალური ცეკას პოლიტიკური თავმოყვარეობის დაკმაყოფილებისაგან. მე ვამბობ გადაკრით: არ არის იდეა, რომელსაც უნდა ენაცვალოს ერი. არ შეიძლება ერთ ხასწორზე დახვდეთ ერი და იდეა. ვისთვის ან რისთვის გვინდა იდეა, თუ ერი გახწვდა ფიზიკურად? ეს შეიძლება კერძო პიროვნებამ გასწიროს თავი ფიზიკურად იდეისთვის. მაგრამ პოლიტიკურ პარტიას არა აქვს უფლება ამოხიციოს ერი იდეისათვის. არა აქვს ეს უფლება არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტს, არა აქვს ეს უფლება საზღვარ-გარეთელ ემიგრაციას! არა აქვს ეს უფლება არავის, არავის!.. არა არა, ათასჯერ არა!..

ბრძოლას გამართლება უნდა ჰქონდეს, თავგანწირვას აუცილებლობა უნდა მოითხოვდეს, შეურიგებლობას ვინმესთან საერთო ენის დაკარგვა უნდა იწვევდეს, ხომ არც ერთ ამ დებულებას არა აქვს დღეს საფუძველი? არა აქვს გამართლება დღეს ჩემი ყოფილი ამხანაგების ბრძოლას სოციალურ საკითხებში, არა აქვს იმიტომ, რომ სამკოთა ხელისუფლებამ გააკეთა მეტი, ვინემ დემოკრატიულმა ხელისუფლებამ. ბევრი დაწერილა ამის შესახებ, განმეორება არ ღირს. აუცილებლობა კი იწვევს თავგანწირვას, მაგრამ არა ისეთს, როგორც ეს წარმოდგენია ჩემი კორესპონდენტის ავადმყოფ ფანტაზიას. ფანტაზია კარგი საქმეა მოცული ხალხისთვის, მაგრამ პოლიტიკაში ის არ ვარგა. დღეს თავგანწირულნი ჩვენ ვართ. ძველს ათეულ წლობით შედუღებულ ამხანაგების მოწყვეტა, საყვარელი ბელადების გულიდან ამოგლეჯა, „ჩეკის ფინიებს“ რომ გიწოდებენ ამისი ატანა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩვენს „საზოგადოებაში“ ზნულით სავსე თვალუბნისათვის თვალის გასწორება, ერის მოღალატის სახელის გულზე ტარება მაშინ, როცა ამ გულში ამ ერისადმი ღრმა პატივისცემა და სიყვარულია, ეს არ არის თავგანწირვა? არის, ვამბობ მე, და სწორედ აქ არის ჩვენი ძალა. დღე, გვაფურობონ, ავიტანთ ამას. მთელი ტრადიციული საქართველოს სინამდვილისა იმაშია, რომ ჩვენ განვიციდით უფდიდეს ხანას, ხოლო გარს გვახვევია უმდაბლესი ადამიანები. რუსეთის დიდი ოქტომბრის დამსახურება საქართველოში იმაშია, რომ მან გაყარა, ჩამოაშორა ქართველ მუშას ის ქართველი ინტელიგენტი, რომელსაც თავი მისი ჰიროსუფლად მოქონდა, სოციალიზმზე მღვროდა. მოხდა ეს დაშორება და მოხდა კვლავ შეერთება მარქსიზმისა და სოციალიზმისა 25 აგვისტოს. ამას ვერ მიხვდება ჩემი კორესპონდენტი, მაგრამ მიხვდება არალეგალური ცეკა. რას იტყვის! იტყვის კი რამეს? შეურიგებელი როგორ შეურიგდება ცხოვრების ლოლიკას?

შეურიგებელი ჩვენ ვიყავით, მაგრამ შეესძლია გამოგვინახა საერთო ენა რუსეთის რევოლუციისათან. შეესძლია და გვინდა ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთად ვიდოდეთ. და ვამბობთ ხმა მაღლა: მოსკოვის დამარცხება ჩვენი დამარცხებაა, მისი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა. სხვათა შორის ეს ნიუ ჟორდანიაში გვიანდერძა...

დასასრულ, მე მიჩვენებ — წავიდე ისევ მათთან, ვისთანაც ერთად ვიდექი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რომ შევიმსუბუქო სასჯელი, ვინიდან მდგომარეობა გართულბულია, ზარის მრეკავმა უკვე ფეხი შედგა კიბის საფეხურს და მალე გავივინებთ ზარების გუგუნს“.

მე ასეთი ჩვეულება მაქვს: რჩევას ყველასაგან ვიღებ, მაგრამ გადაწყვეტილებას ვანდობ მხოლოდ ჩემს თავს. ახლაც ასე მოვიქცევი: იმათთან არ წავალ, ვისაც რევოლუციონერი მარქსიზმი წაუვიდა ხელიდან, სასჯელის არ მიმინია. ვინიდან რევოლუციონერი ვარ. ასი სიცოცხლე რომ მქონდეს, ყველას შევსწვირავ ჩემს იდეას. ამდღა დავაკმაყოფილებ არა ერთის სადისტურ-ოცნებას ჩვენს მომავალ „სასჯელზე“.

ზარის მრეკავმა კიბზე შედგა ფეხიო— ეკლესიების და მღვდლების დაცვის მეტი რა დავრჩათ? რეკეთ, რეკეთ გეთაყვა, რეკეთ სანამ იქიდანაც არ გამოვრეკეთ. ეკლესიებში ზარების რეკა რევოლუციონერობა არ არის. არ არის არა, გაიგო ეს თქვენმა გოგარამ?

ამას წინეთ ერთმა ცნობილმა ბელადმა შემომითხარა: კარგი ქურნალისტი ხარ, ხოლო ცული პატრიოტიო, აზრებში ვერ გეთანხმებიო; ბევრს აძლევ თებერვალს, საქართველო გავიწყდებაო.

ან, ღმერთო ჩემო, მე თებერვალს საქართველოდან ვერ გამოვყოფ, ისე, როგორც გუ-

ლიდან ვერ მოვიგლეჯ საქართველოს სიყვარულს. მიყვარს საქართველო, მაგრამ ეს სიყვარული არ მაბრმავებს, ვერ შემეპირებებს პარტიტულ კომიტეტთან. საქართველო ჩემთვის ქალი არ არის, რომ ნაკლზე არა ველაპარაკო რა. ამიტომ მივდი მე 25 აგვისტოსთან.

ამიტომ ვამბობ ჩვენს ნაკლზე, ჩვენს უარყოფით მხარეებზე, ძველი ტაქტიკის უფარგისობაზე, ახალი გზების მიღებაზე. უნდა განვიკურნოთ ძველი სენისაგან, რომ ახალი საქართველოს, სამკოთა საქართველოს ისტორიული დაფასება შევსძლოთ. მე მარქსისტი ვარ და სხვანაირად ვერ ვიტყვი, ვინიდან ასე მასწავლეს მარქსმა, ჟორდანიაში.

არც ის მაშინებს თუ რას იტყვის Княгиня Марья Алексеевна! ამ გამოჩერჩეტებულ კნენის აზრები თქვენთვის დამილოცნია.

მე კი ჩემი გზით ვიარ. და ვიცი მე— ჩემი გზა სწორია. მარქსისტული მიდგომა ამართლებს ამას.

პარტიულს თავმოყვარეობას ვერ ვანაცვალებ ჩემი კლასისა და ერის ინტერესებს. ამ ინტერესებს კი ახალი გზებით მივყვართ და ვიმიჯნებით თქვენგან.

ორჯერ ერთი ორია, მაგრამ ორჯერ ერთი სისულელე უკვე ბევრი სისულელეა. გესმით ეს პოლიტიკის პროფესორებო?

ამით ვათავებ. ვნახოთ თქვენ რით ვათავებთ.

რ. ქორქია.

მუშათა ფერილები

ვალოდის განჯვალაქი

(მოგონება)

არ შემიძლია, არ მოვიგონო ის, ვისაც დიდი ღვაწლი მიუძღვის რევოლუციის მონაპოვარში და ცხოვრების გარდაქმნაში, ყველა ჩვენგანს აქვს წვლილი შეტანილი ამ ახალ ხანაში, მაგრამ იმდენი სამსახური, რამდენიც გაუწია ჩვენმა ყოვლიანმა გულით და სულით მოსურნე ამხანაგმა ვალოდია მანჯვალაქემ, მგონი არავის არ გაუწევია. ვინ იყო ვალოდია, რას წარმოადგენდა ის, ან რისთვის იბრძოდა? ეს ყველა ძველმა ამხანაგებმა კარგად იციან, ნამეტურ ვინც იმ დროს 1905—1908 წლ. მსახურებდა განჯაში, ალექსანდროპოლში, აჯიკაბულში, თფილისში და ბათუმში, ამისათვის ჩვენი დიდი სირცხვილი არის დღეს, რომ ამისთან დიდი პიროვნების სახელი ესე უშედეგოთ, რომ დაეცეს, და სახსენებელიც აღარ იყვის იმისთანა ამხანაგის, რომლის უნარი იყო ჩვენ გზემობით დღეს. ვალოდიამ ბევრს შავ რაზმელებს გაუგმირა გული და ჩვენ საშვალემა მოგვცა აქტიური მუშაობისა რევოლუციის მოსაპოვებლად. მე თავიდან არ შეუდგებო ვალოდიას ისტორიას, იმის თავგადასავალს იმიტომ, რომ ყველამ იცის იმის უნარი, დაუღალავი მუშაობა, მხოლოდ მე მიმდა ავინიშნო ის ჩვენი გულ-გრილობა, რომელსაც ჩვენ ვიჩინეთ პარტიკულ ამხანაგის საქმის დაფასების მიმართ. ბევრი დაიწერა ვალოდიაზე, ბევრი ითქვა, მაგრამ ყველაფერი ეს დარჩა ხმად „მოლოდინის“ უღანდროსა შინა“. მასთვის მენშევიკების

დროსაც იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ არ იქნა და არ აიღო ინიციატივა თავისთავზედ არაბევი, რომ ჩვენი პარტიკული სულში ჩასაძვინე ამხანაგისთვის ვისმეს პარტიკი ეცა და მის გაყინულ საფეხზე ჩვენ ჩვენს ენარგით და შრომით აგვეგო ვალოდიასთვის ძველი და აგვეფრიალებია წითელი დროშა. ჩვენი ვალია, ამხანაგებო, შევიტანოთ ყველამ ჩვენ ჩვენი წვლილი ვალოდიას ძველის ფონდის გასაძლიერებლად; რაც მოგროვდება თუ ეყო ძველს, ხომ კარგი, თუ არა და დანარჩენს მოეთხოვთ მთავრობას. ჩემის მხრით მე პირველად უყრი საძირკველს მის ძველს და ვდებ ფონდის გასაძლიერებლად 5 მანეთს. ვთხოვ ყველა დარგის მუშებს შეაგროვონ თავიანთი წვლილი და გადასცენ თფილისის საყუდის თანაშემწეს ნიკო ჩლაიძეს, მასთან, ვთხოვ ყველა ამხანაგებს გამოეხმანურონ ამ წერილს. ვთხოვ ყველა რედაქციებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

ბ.რთ. ფოცხვერია.

კოოპერაციის სოფლათ და ქალაქად.

მეტად მარტივი და აშკარა არის დღეს კოოპერაციის მნიშვნელობა ჩვენს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ არც შეუდგები მის შესახებ ლაპარაკს. სამაგიეროდ ჩვენთვის დიდათ საინტერესოა გაცნობა იმ პირობებთან, რომელშიაც უხდება კოოპერაციის მუშაობა.

ქალაქში, მაგალითად, რაც გინდ სუსტი და ნაკლებ საცხე იყოს კოოპერაცია, ეს ნაკლებ და სისუსტე არაა ისე საგრძნობი, როგორც სოფლად. და ეს გასაგებია. ჯერ ერთი კოოპერაციის გარდა ქალაქში არსებობენ აუარებელი სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებები, მეორე—არსებობს სასტიკი კანტროლი კერძო სავაჭროებზე, დაწესებულია ნიხრი და სხვა საშვალბანი, რომლითაც სარგებლობს ქალაქის მომხმარებლები იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს ქალაქის კოოპერაცია.

მაგრამ ასეთი პირობებით როდისარგებლობს სოფლის სინამდვილე. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სოფლები კი არა, მთელი რიგი მაზრებია, სადაც ჯერაც არ არსებობს კოოპერატივები და, მაშასადამე, ამ გარემოებით ფართეთ სარგებლობს კერძო ვაჭარი, გლეხ-კაცობას ახრჩობს, სუქდება, ძლიერდება და აძლიერებს კიდევ სოფელ ადგილობრივ „კულაკებს“... რასაკვირველია ასე არ იქნებოდა, რომ ყოფილიყო ყველგან კოოპერატივები. რა უშლის ხელს კოოპერატივების დაარსებას სოფლად? მიზეზები მრავალია, მაგრამ თავი და თავი, ჩემის აზრით, გამოსადეკი ანუ უკეთ, რომ ვთქვათ, საიმიდლო ძალების უყოლობაში უნდა ვეძიოთ. იმ მცირერიცხოვან კოოპერატივებშიაც კი, რომელიც არსებობს სოფლად, ვერ არის უმეტეს შემთხვევაში საქმე ხეირიანად მოწყობილი, სწორედ ხსენებულ ძალების არ არსებობის მიზეზით. არის, მაგალითად, სოფლად კოოპერატივები, რომელიც სარგებლობს მინიჭებულ უპირატესობებით, იქნის შეღავათიან ფასებში საქონელს და აძლევს კერძო ვაჭრებს. ეს ვაჭრები კი აწეულ ფასებში საქონელს ასაღებენ სოფელ ხელმოკლე გლეხობაზე და ებრძვიან თვით კოოპერაციას. ასეთ შემთხვევაში განა შეიძლება თქმა კოოპერაციის უფარვისობაზე? სრულებითაც არა. არ ვარაგად სწორედ კოოპერაციის სათავეში მდგომი ხელმძღვანელები. ამ მცირე, მაგრამ დიდ შინაარსიან მაგალითის მოყვანით მე მინდა მკითხველს ყურადღება მივაქციო სწორედ იმ გარემოებას, თუ რამდენად სერიოზული მნიშვნელობა აქვს შესაფერ ძალას კოოპერაციის არსება—არ არსებობისათვის. იქაც კი, სადაც არის კოოპერაცია, მაგრამ მოიპოვება ადგილობრივ ხალხის ინტერესების დაცვის საქმით დაინტერესებული ძალები, ასეთ ადგილებშიაც კი ახერხებენ საქმის შეგლას კოლექტიურ ძალების ერთად მოყრით. პირველად, ბევრია, როგორც ვსთქვი, მაგალითები, როდესაც არის კოოპერატივები, მაგრამ სახელის მტეი არაფერი ჰყრია შიგ... და ეს ხდება როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მაგრამ, ვინაიდან სოფელს უფრო სჭირია, ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიმართული შესაფერ ძალების იქ გზავნით და საქმის ადგილობრივ გაძლიერებით.

არაერთის სიძულეობას არ წარმოადგენს, რომ დღეს სხვა დაწესებულებებთან ერთად ჩვენს კოოპერატივებში თითქმის მთელი საქმიანობა აბარია „სპეცებად“ წოდებულ ძალებს, რომელთაც უფრო მეტად აინტერესებთ „სპეც-

სტავეები, ვინემ ხალხის ანუ მთავრობის ინტერესები... და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სწორედ ეს „სპეცები“ აწარმოებენ კოოპერაციის საშვალბებით სოფლის და ქალაქის დაკავშირების საქმეს, ჩვენთვის ნათელი იქნება ისიც, თუ რატომაც საქმე ასე ჩამორჩენილი სოფლად და ქალაქადაც...

რის შედეგია მაგ. ამდენი ჩივილი ქალაქის კოოპერატივებში საქირო საქონლის არ არსებობის გარშემო ატეხილი, თუ არა იმისი, რომ სავაჭრო დარგების გამეც „სპეცები“ იძენენ ისეთ საქონელს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ვერც ქალაქის მუშა-მოსამსახურეებს, ვერც სოფელს გლეხობას. სამწუხაროდ სოფლის კოოპერატივებს ეგზავნება ბევრ შემთხვევაში სწორედ საქონლის ის ნაწილი, რომელიც არ საღდება ქალაქად. დასცემა მაშასადამე ასეთი უნდა გამოვიტანოთ.

კოოპერაციის შინაარსის გაჯანსაღება მუშათა მთავრობის ეკონომიურად გაღონიერების და მუშა-გლეხების ერთი-მეორესთან დაკავშირების საქმით სრულიად შეგნებულად დაინტერესებულ ძალების შეყვანით. ასეთი ძალებით შევსების შემდეგ კი თითო სოფელზე თუ არა, მსხვილი, თვალსაჩინო სოფელზე მაინც თითო კოოპერაციის დაარსების საქმის გაჩაღებით.

გამოცდილი ვაჭრობა, ვაჭრული სტაეი არ ნიშნავს კოოპერატიულ საქმის წარმოებას. ჩვენ კოოპერატივები კი სწორედ ასეთ ვაჭარ „სპეცებით“ არის გაუტენილი.

ჩვენ ბევრი ჩუმი, მაგრამ ნიჭიერი და საიმედო ძალები მოგვეპოვება, სწორედ ეს ძალები უნდა საჩქაროთ გამოვიყენოთ, და გაჯანსაღოთ კოოპერაცია, როგორც სოფლად, აგრეთვე ქალაქად. ნუ შეგვაშინებს ის გარემოება, რომ ამ ძალებს აკლია გამოცდილება. საქმისადმი გულწრფელობა და საერთო ერთგულობა დაფარავს პატარა ნაკლს და გამოასწორებს საქმეს.

ცალი თვალით ტყისაკენ მაყურებელ „სპეცებს“ ადგილებზე მუშურ-გლეხურ ინტერესების ფხიზელ დარაჯ ძალების ჩაყენება—რაც ჩქარა, მით კარგია.

ძველი მუშა.

ქალაქის აღმასკომის ბუნის „სა-უშარადლებოდ.

ბევრი სხვადასხვა გაუგებარი კითხვების გამო მუშათა კლასი თავის სამეფოში ზოგჯერ უყურადღებობას განიცდის—და მასში აღშფოთების გრძნობები თანდათანობით ფეხს იდგამს.

რამაი საქმე? იკითხავს უთუოდ მკითხველი. მუშათა კლასი გარდა არსებულ ხელისუფლებისა, მუდამ კრიზისს განიცდიდა ბინის საკითხში. მუდამ იყო გამოწყვედილი სარდაფებში და ბნელ ნესტიან ოთახებში. დღეს სულ სხვას ვხედავთ. არსებული ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბურჟუა-სპეკულიანტები შესცვალა მუშებმა. მუშები ჩასახლდა მათ ბინებში. ბურჟუა სპეკულიანტები კი იმ უმზეო ნესტიან ოთახებში, სადაც მუშები ცხოვრობდნენ წინათ.

